# საერთო გაზეთი

№36 (447) • 4 ოქტომბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## 2017 წლის 1 ოქტომბერს 5 წელი შესრულდა საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმის დამარცხებიდან. გილოცავთ!



**გიორგი კვირიკაშვილი:**

მინდა, ჩვენი გუნდის წევრებს მივმართო – როდესაც შენ მართალი ხარ, ცოტა უფრო თამამად არის საჭირო ამ სიმართლის თქმა!

**გოგი თოფაძე:**

„ნაციონალები“ ახლა სიტუაციის არევას ცდილობენ, რადგან იციან, არჩევნები „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დამთავრდება





**მამა ბასილი:**

სააკაშვილის მეხოტბე ეპისკოპოსები, რომელთაგან ზოგი ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს, ზოგი მკვლელობისთვის, ზოგი ბავშვის გაუპატიურებისთვის, ყველაფერს აკეთებენ, იმისთვის, რომ სააკაშვილი საქართველოში დააბრუნონ



როცა ოხანაშვილი პატრიარქთან არ იმყოფებოდა და სადმე გადიოდა, ილია II-ეს სამაჯურს უკეთებდნენ, რათა მისი ყველა მოძრაობა, ყველა სიტყვა ჩაწერილიყო და არაფერი გამოჰპარვოდათ. პატრიარქს კი ატყუებდნენ, თითქოს ეს სამაჯური ჯანმრთელობის მდგომარეობის საკონტროლებლად იყო საჭირო. სინამდვილეში კი მოსასმენი აპარატურა გახლდათ...




## „ქართული მარშის“ შვიდი მოთხოვნა ხელისუფლებას

**„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# „მინდა, ჩვენი გუნდის წევრებს მივმართო – როდესაც შენ მართალი ხარ, ცოტა უფრო თამამად არის საჭირო ამ სიმართლის თქმა“

მინისტრთა კაბინეტის წევრებთან 3 ოქტომბერს გამართულ სამუშაო შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი** ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.



— „არ ვიცი, რა დავარქვა იმას, რასაც გასული დღეების განმავლობაში ვხედავთ. არსებობს პოლიტიკური უსინდისობა, არსებობს ადამიანური უსინდისობა და არსებობს ამ ყველაფრის ზღვარი. ჩვენ ვხედავთ ამ ზღვარს იქით გადასულ ადამიანებს. მე მათ პოლიტიკოსებსაც ვერ დავარქმევ, რადგან ისინი არიან აშკარად წარსულის პოლიტიკოსები, გაკოტრებული პარტიის და გაკოტრებული ლიდერის მიმდევრები, რომლებიც ცდილობენ ამ ტყუილით და უსინდისობით მიიპყრონ კიდევ ყურადღება“, – განაცხადა პრემიერმა.

## ეს ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი, არ იმსახურებს იმას, რასაც იღებს. ეს არის უდიდესი უსამართლობა...

მთავრობის მეთაური თბილისის მერიასთან გამართულ აქციასაც გამოეხმაურა, რომლის დროსაც რამდენიმე ადამიანი გზის გადაკეტვას და 4–5 საათის განმავლობაში ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ქუჩის პარალიზებას ცდილობდა.

„ისინი ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილს სურს პუშკინის სკვერის მითვისება. სინამდვილეში, საუბარია პუშკინის სკვერის მიმდებარე, მიწისქვეშა ტერიტორიაზე პარკინგის მშენებლობის შესახებ. დღეს მერია სანთლით ეძებს ადამიანებს, რომლებიც თბილისში ათ პარკინგს ააშენებენ, რადგან დედაქალაქში არ არის პარკინგები. სამწუხაროდ, დღეს პარკინგი ვერ გახდა ბიზნესი, რადგან პარკინგის ღირებულება არ არის ისეთი, როგორიც შეიძლება იყოს მსოფლიოს წამყვან ქალაქებში. ამიტომ პარკინგი ძალიან გვჭირდება. **ეს ადამიანი, პრაქტიკულად აბსოლუტურად არაკომერციულ საწყისებზე, აშენებს ორჯერ მეტ პარკინგს, ვიდრე ეს სჭირდება სასტუმროს, რომელიც იქ შენდება. ასევე ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილს სურს ბოტანიკური ბაღის მითვისება. სინამდვილეში, საუბარია ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე – სულ რამდენიმე ასეულ კვადრატულ მეტრზე, იმისთვის, რომ ბოტანიკური ბაღიდან წავკისამდე არსებული გახრიოკებული ფერდობები, სადაც ამ პროექტის მშენებლობაა გათვალისწინებული, გამწვანდეს და მოირწყას.** ყველაფერს და მათ შორის ტყუილსაც საზღვარი აქვს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოსახლეობა ამას ძალიან კარგად ხედავს“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

## რა ვქნათ, გავაჩეროთ ინვესტიცია, გადავკეტოთ ქალაქი, იმიტომ რომ ხუთი ნევროზიანი პოლიტიკოსი გამოდის, აბრიალებს თვალებს და ყვირის?!“

**„მინდა, ყველამ ნახოს ის ვიდეო, სადაც ერთ-ერთი ადამიანი, არ მახსოვს მისი გვარი, 26 მაისის მოვლენების შემდეგ ამბობდა, რომ ნაგვისგან გაწმინდეს მოედანიო. და ეს მაშინ, როცა იქ გვამები ეყარა. პოლიტიკოსებს, ოპოზიციონერებს ეძახდა გვამებს. გუშინ კი, მერის მოადგილიდან დაწყებული პოლიციელებით დამთავრებული, ასულიერებდნენ მას, პულსი გაქვს, შვილო, მომატებული და არ გახვიდე გარეთ, არ ინერვიულოო. ეს არის ჩვენი მთვრობის სახე, ეს ცვლილება მოიტანა ბიძინა ივანიშვილმა**“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა, ნაციონალური მოძრაობისა და მერიასთან გამართული აქციის ერთ-ერთ მონაწილეზე (ლევან ხაბეიშვილზე) საუბრისას.

„დღეს გაკოტრდნენ და ვეღარაფერი გაუკეთებიათ. რაღაცით ხომ უნდა მიიპყრონ ყურადღება და მოიგონეს ეს ორი უსინდისო ტყუილი, მაგრამ ჩვენი მოსახლეობა ამას ხედავს. მინდა, ჩვენი გუნდის წევრებს მივმართო – როდესაც შენ მართალი ხარ, ცოტა უფრო თამამად არის საჭირო ამ სიმართლის თქმა. არავის უნდა მოერიდოს, რომ ვთქვათ, რაზეა საუბარი. საუბარია მილიარდ ლარზე მეტ ინვესტიციაზე. ჩვენ ინვესტორები გვჭირდება და რაკი ბიძინა ივანიშვილია, არ ამოვიღოთ ხმა და არ დავიცვათ ინვესტიცია, ვფიქრობ, ეს არასწორია. საუბარია იმაზე, რომ 20 ათასი ადამიანი საქმდება დღეს ამ ინვესტიციებზე – თბილისში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში. 680 მილიონ დოლარზე მეტია მთლიანად ინვესტიცია, ეს მილიარდ-ნახევარ ლარზე მეტია და **რა ვქნათ, გავაჩეროთ ინვესტიცია, გადავკეტოთ ქალაქი, იმიტომ რომ ხუთი ნევროზიანი პოლიტიკოსი გამოდის, აბრიალებს თვალებს და ყვირის?!**“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

## არსებობს პოლიტიკური უსინდისობა, არსებობს ადამიანური უსინდისობა და არსებობს ამ ყველაფრის ზღვარი. ჩვენ ვხედავთ ამ ზღვარს იქით გადასულ ადამიანებს.

„მინდა, ჩვენი გუნდის წევრებს მივმართო, ცოტა გავამხნევო ისინი – სიმართლე არის ჩვენს მხარეს. ჩვენ არაფერი გვაქვს თავის სამართლებელი. ყველაფერი იდეალურად არ არის, ზოგჯერ ყველაფერი აღმავალია, ზოგჯერ არის ჩავარდნა, მაგრამ მიმართულება, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ აიღო, არის სწორი. ცოტა თამამად ვუთხრათ სიმართლე ჩვენს მოსახლეობას. ეს ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი არ იმსახურებს იმას, რასაც იღებს. ეს არის უდიდესი უსამართლობა და მინდა ვთქვა, რომ სიმართლე ყოველთვის თავისას გაიტანს. სიმართლე არის ერთი რამ – თბილისში კეთდება ისტორიული პროექტი, რომელიც შექმნის მართლაც ანალოგის არმქონე, ყველასთვის ხელმისაწვდომ მწვანე სივრცეს, სასეირნო თუ სარბენი ბილიკებით, რეკრიაციული სივრცით და ჩვენ ამაზე უარი ვთქვათ იმიტომ, რომ ნევროზიანი პოლიტიკოსების აზრი გავითვალისწინოთ, მე ამას არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდები და ჩვენი გუნდის არც ერთი წევრი ამას არ დათანხმდება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.



**მინაწერი:**

**თამამად შეიძლება ითქვას, 3 ოქტომბერს მთავრობის წევრებთან შეხვედრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის, მიერ წარმოთქმული სიტყვა, ეს არის ისტორიული, საეტაპო მნიშვნელობის სიტყვა.**

**გიორგი კვირიკაშვილმა თქვა ის, რასაც დიდი ხანია ქართველი ხალხი ითხოვს ხელისუფლებისგან – დაერქვას საგნებს და მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელი – უსინდისოს უსინდისო ეწოდოს, დამნაშავეს – დამნაშავე, ბოროტებას – ბოროტება, სიკეთეს – სიკეთე.**

**ვრცელ წერილს ბატონი გიორგი კვირიკაშვილის მიერ წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით, „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.**

**„საერთო გაზეთი“**

## განცხადება

**„საერთო გაზეთის“ პროექტი - „ძლიერი რეგიონები - ძლიერი საქართველოსთვის“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით შეჩერებულია მიმდინარე წლის 21 ოქტომბრამდე.**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# გოგი თოფაძე: „ნაციონალები“ ახლა სიტუაციის არევას ცდილობენ, რადგან იციან, არჩევნები „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დამთავრდება

## სანამ ივანიშვილის ქონების თბილისელებისთვის დაბრუნებაზე საუბარს დაიწყებდეთ, იქნებ ის ქონება დაგვებრუნებინათ, რაც თქვენი პარტიის ლიდერმა და მისმა გუნდმა თბილისს და მთელ საქართველოს წაგლიჯა?



საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ თბილისის საკრებულომ თაბორის მთაზე 5000 კვადრატული მეტრის მიწის ფართობისა და პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე 1900 კვადრატული მეტრი მიწის ფართობისთვის ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონის სტატუსის შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო, რასაც „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ მერობის კანდიდატებისა და მათი მხარდამჭერების პროტესტი მოჰყვა. საკრებულოს სხდომაზე ელენე ხოშტარია და ზაალ უდუმაშვილი თანამოაზრეებთან ერთად მივიდნენ და სხდომის ჩაშლა სცადეს, თუმცა საკრებულოს დაცვამ ისინი დარბაზიდან ძალის გამოყენებით გაიყვანა.

გავრცელებული ინფორმაციით, პუშკინის სკვერთან 30 მანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა პარკინგის მშენებლობა იგეგმება, ხოლო თაბორის მთაზე სადრენაჟო და საირიგაციო სისტემის ტექნიკური ნაგებობები უნდა აშენდეს, რაც ბოტანიკური ბაღის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს. ოპოზიციის მერობის კანდიდატები მიწის ნაკვეთისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის შეცვლას ბიძინა ივანიშვილის კერძო ინტერესებს უკავშირებენ და საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრებიან.

„ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი ვის გადაეცემა პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორია. რაც შეეხება თაბორის მთას, საზოგადოება არ უნდა აყვეს ნაციონალური მოძრაობისა თუ მისი სატელიტი ორგანიზაციების პროვოკაციებს. საუბარია მცირე ტერიტორიაზე, სადაც საირიგაციო სისტემები მოეწყობა და არა მხოლოდ იმ უნიკალურ კომპლექსს მომსახურება, რომელიც თბილისის მოსახლეობისთვის იქნება, არამედ ბოტანიკურ ბაღსაც. ამასთან, საუბარია საბაზრო ღირებულებაზე და არა სიმბოლურ ფასად გადაცემაზე. ჩვენ დღეს ვნახეთ პოლიტიკური შოუს მოწყობის მცდელობა და სხვა არაფერი“ — განაცხადა საკრებულოში „ქართული ოცნების წარმომადგენელმა“ ზურაბ ქადაგიძემ.

პოლიტიკური შოუს ნაწილად და ისტერიკად შეაფასა საკრებულოში განვითარებული მოვლენები მრეწველთა ლიდერმა **გოგი თოფაძემ**:

— თბილისის საკრებულოს არჩევნები კარს მოგვადგა და ეს ისტერიკაც ამას უკავშირდება. ყველამ ვიცით, რომ თბილისში პარკინგების მშენებლობა აუცილებელია, თუმცა, 30 ადგილიანი პარკინგის საქმეში ბიძინა ივანიშვილის მასშტაბის ბიზნესმენის გარევა ისეთი პრიმიტიულია, რომ არც კი ვიცი, როგორ შევაფასო. მეორე საქმე, რომელზეც ედავებიან, უდიდესი პროექტია, რომელიც საქართველოში განხორციელდება. ბიძინა ივანიშვილი გამოცდილი ბიზნესმენი და დიდი გამოცდილების მქონე ადამიანია, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის და კიდევ ბევრის გაკეთება შეუძლია. მარტო სამების აშენება საკმარისი არაა, რომ მასზე მეტი პატივისცემით ვილაპარაკოთ? ნაციონალები ახლა აგონიაში არიან, რადგან იციან, არჩევნები „ქართული ოცნების“ წარმატებით დამთავრდება და კახა კალაძე დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს. ყველამ ვიცით, რომ ეს ადამიანი ყველა საქმეში წარმატებულია, რასაც ხელს მოკიდებს. წარმატებული იყო ფეხბურთში, წარმატებული იყო ენერგეტიკაში და დარწმუნებული ვარ, როგორც ქალაქის მერიც არმატებული იქნება და გაცილებით მეტის გააკეთებას შეძლებს. მე მაინტერესებს სად იყო ის ხალხი, რომელიც დღეს ხელისუფლებას აკრიტიკებს, როცა საქართველოში ბიზნესს ართმევდნენ, ციხეში აწამებდნენ და ადამიანებს აიძულებდნენ, რომ სახელმწიფოსთვის ქონება ეჩუქებინათ? მარტო ცუდის დანახვაზე რომ არიან ორიენტირებული, იმას რატომ ვერ ხედავენ, ბიძინამ ქვეყანას რამდენი სიკეთე გაუკეთა? მარტო ბოლო დროს, ორი უნიკალური საჩუქარი გაუკეთა საქართველოს. ესაა შესანიშნავი საკონცერტო დარბაზი გურიაში და უნიკალური ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო.

შეიძლება ყველაფერი ისე ვერ გაკეთდა, როგორც გვინდოდა და კიდევ ბევრი უნდა გაკეთდეს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რაც 2012 წლიდან მოყოლებული გაკეთდა. რამდენ სოფელში შევიდა წყალი და ბუნებრივი აირი, რამდენი გზა დაიგო და გარემონტდა. სოფლის მეურნეობა ფეხზე დადგა და საქართველოში მოუხნავ მიწას ვერ ნახავთ. ამდენი შეღავათიანი სესხი და ასეთი წარმატებული პროექტები არასოდეს ყოფილა.



ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ ხალხის დასაქმების, ტერიტორიების გამთლიანების და მიგრანტების დაბრუნების ლეიტმოტივი არის წარმოების აგუგუნება, რაც ჯერჯერობით საჭირო ტემპით არ ხდება, მაგრამ დარწმუნებულ ვარ, რომ უახლოეს 3 წელიწადში აქცენტი წარმოებაზე იქნება გადატანილი, რადგან ამის გარეშე ქვეყნის ფეხზე დაყენება შეუძლებელია.

ნაციონალებს რომ შოუს და სანახაობის მოწყობაში ბადალი არ ჰყავთ, ცნობილია, მაგრამ როცა თბილისელებისთვის ქონების წართმევაზეა საუბარი, „მათი დამსახურებებიც“ უნდა ავღნიშნოთ, რადგან ეს საქმიანობა ხელისუფლებაში მოსვლიდან უმოკლეს დროში დაიწყეს. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საგანმანათლებლო სისტემაში ჩატარებული რეფორმის შედეგად, საქართველოს მასშტაბით ასობით სკოლა და საბავშვო ბაღი დაიხურა და მათი უდიდესი ნაწილი სწორედ ჩინოვნიკების, მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლების საოჯახო ბიზნესად იქცა. ამის რამდენიმე მაგალითს შეგახსენებ თ.

2004 წელს სააკაშვილის დედამ, გიული ალასანიამ, ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა დააფუძნა, რომელიც მალე დამოუკიდებელ სასწავლებლად — საქართველოს უნივერსიტეტად გადაკეთდა. გიული ალასანიასა და მის ბიზნესპარტნიორს მანანა სანაძეს უნივერსიტეტის წილი სიმბოლურ ფასად გადაეცათ. 2008 წელს „საქართველოს უნივერსიტეტმა“ ერთ პაკეტად შეიძინა ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მე-9 კორპუსი, მშენებარე მე-7 კორპუსი, სტადიონი და სპორტული დარბაზი. მთლიანად, გიული ალასანიას „საქართველოს უნივერსიტეტის“ ბალანსზე ტექნიკური უნივერსიტეტის 15827 კვ.მ ფართი აღმოჩნდა. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სტუ-ს ერთ-ერთი სასწავლო კორპუსი პრეზიდენტის დედამ 2008 წლის 11აგვისტოს, ანუ იმ დროს გადაიფორმა, როცა საქართველოს უთანასწორო ომში იყო ჩაბმული და ქაართველი ჯარისკაცები ბრძოლის ველზე იღუპებოდნენ. უფრო ადრე, გიული ალასანიას „საქართველოს უნივერსიტეტს“ ბათუმის საჯარო რეესტრის ყოფილი შენობა სიმბოლურ ფასად- 1 ლარად გადაეცა. მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, „შავი ზღვის უნივერსიტეტს“, რომლის პრორექტორიც ქალბატონი გიული ბრძანდებოდა, ასევე, სიმბოლურ ფასად გადაეცა თბილისში არსებული მიწის ნაკვეთი.

ისიც ცნობილია, რომ განათლების სისტემაში სოლიდურ წილს ფლობდა ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, რომელმაც 2012 წელს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი და მასთან ერთად, ასობით ჰექტარი მიწის ფართობი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები რეალურზე გაცილებით დაბალ ფასად შეიძინა, რასაც უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დახურვა და მეცნიერ-თანამშრომელთა უმუშევრად დარჩენა მოჰყვა.

თავის დროზე, ოპტიმიზაციის საბაბით, ნუცუბიძის პირველ პლატოზე არსებული ერთადერთი სკოლის დახურვას ადგილობრივი მცხოვრებლების პროტესტი მოჰყვა, რადგან უბანი ფაქტობრივად, საჯარო სკოლის გარეშე დარჩა. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ სკოლის შენობა კახა ბენდუქიძემ იყიდა და იქ ამჟამად „ნიუტონის სკოლა“ მდებარეობს.

ვაზისუბნის მესამე მიკრორაიონში მცხოვრებ მოსწავლეებს უკვე წლებია, სხვა უბნის სკოლებში უწევთ სიარული, რადგან სკოლა, რომელშიც აქამდე დადიოდნენ, 2009 წელს ჩინელ ინვესტორზე გასხვისდა. სკოლის ყოფილ შენობაში დღეს სასტუმროა გახსნილი, თუმცა ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, რეალურად, სასტუმრო საროსკიპოს ფუნქციას ასრულებს.

გაყიდული საჯარო სკოლის შენობაშია გახსნილი ძმები ბეჟუაშვილების „ევროპული სკოლა“ და ა.შ.

2011 წელს სახელმწიფო ქონება ყოველგვარი საინვესტიციო პირობების გარეშე, ერთ ლარად გადაეცა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს უფროსს, მეგის ქარდავას ძმას ლევან ქარდავას (კოჯორში მდებარე 2 501 კვ.მარასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) 2012 წლის 10 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, შპს „ჯეოლენდს“, რომლის 50%-იან წილს თბილისის ყოფილი მერის ძმა ირაკლი უგულავა ფლობდა, პირდაპირი მიყიდვის წესით, ერთ ლარად გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. კერძოდ, 8000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ყაზბეგში.

როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო საგანმანათლებლო ობიექტების მასობრივად გასხვისებამ გაყიდვას გადარჩენილ სკოლის კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა და განათლების ხარისხის კატასტროფული ვარდნა გამოიწვია.

ნაციონალური მოძრაობის დროს, სიმბოლურ თუ საბაზრო ფასად გასხვისებული სახელმწიფო ქონების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სწორედ ნაციონალური მოძრაობის დროს გაიყიდა ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ისეთი ობიექტები, როგორიცაა ენგურჰესი, ჟინვალჰესი, გუმათი 1 და 2, ლაჯანურჰესი, შაორჰესი, ვარციხე 1, 2, 3 და 4, ხრამი 1, 2, 3, 4 და 5, „ყაზტრანსგაზ თბილისი“, გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი, „მადნეული“, „კვარციტი“, „აზოტი“, ზესტაფონის „ფერო“, „თბილისის წყალი“ და ა.შ. საინტერესოა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტის მყიდველი რუსული კომპანია გახლდათ.

არანაკლებ საინტერესოა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, კერძო პირების მიერ ხელისუფლებისთვის „საკუთარი სურვილით“ საჩუქრად გადაცემული ქონების ჩამონათვალი. მათ შორისაა მილიონებად შეფასებული უძრავი ქონებები, საწარმოები და ბიზნესები. მაგალითად, სახელმიფოს უსასყიდლოდ გადაეცა 2000 ლარის საწესდებო კაპიტალის მქონე შპს „გორა“ რომელმაც მიღებული წილი აუქციონზე 1620 000 აშშ ლარად გაყიდა. შპს „ბორჯომის სავაჭრო ცენტრი 2005“ (200 000 $), შპს „რიყე“ (500 000 ლ „თბილავიამშენი“, (წილის 27.26%. 18 732 258 ლ) რომლის ყოფილი პარტნიორები სახელმწიფოს დღემდე ედავებიან და ა.შ.

და ბოლოს, ნაციონალებო, სანამ ივანიშვილის ქონების თბილისელებისთვის დაბრუნებაზე დაიწყებდეთ საუბარს, იქნებ ის ქონება დაგვებრუნებინათ, რაც თქვენი პარტიის ლიდერმა და მისმა გუნდმა თბილისს და მთელ საქართველოს წაგლიჯა?

**ნელი თორდია**
571 35 36 88

## მამა ბასილი:
# სააკაშვილის მეხოტბე ეპისკოპოსები, რომელთაგან ზოგი ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს, ზოგი მკვლელობისთვის, ზოგი ბავშვის გაუპატიურებისთვის, ყველაფერს აკეთებენ, იმისთვის, რომ საერთაშორისო ბოროტმოქმედი სააკაშვილი საქართველოში დააბრუნონ



***ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან.***

**— მამა ბასილ, მღვდელ გიორგი მამალაძეს 9 წელი მიუსაჯეს. რას იტყვით, როგორ ფიქრობთ, ამ ბნელ საქმეში მეუფეები იქნებოდნენ ჩართულნი?**

— ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადვილად მიხვდება, რომ ამ საქმეში მარტო დეკანოზი გიორგი მამალაძე არ იქნებოდა ჩართული. აქ იყო სერიოზული დაჯგუფება სასულიერო იერარქთა თაოსნობით, ნაციონალური მოძრაობის თაყვანისმცემლების სახით, რომელთა გეგმა იყო პატრიარქის ლიკვიდაცია და მისი ტახტის დაპატრონება, რათა მომავლისთვის გზა განემზადებინათ



ფაშისტი, სისხლისმსმელი სააკაშვილის დასაბრუნებლად. ეს მეტად მავნე ტრადიცია, როგორც ბევრჯერ აღვნიშნე, 1917 წლიდან მოდის, როცა საქართველოს პატრიარქები საეჭვო ვითარებაში იღუპებოდნენ.

ამბობენ, რომ მამალაძე დუმს. სასულიერო პირს დუმილის უფლება არ ეგების, რამეთუ ამით ღმერთს ღალატობს. დამნაშავეს, მით უმეტეს, ღვთის მცნებების დამრღვევთ, არა მიეტევებათ რა. ამიტომ უნდა ითქვას სიმართლე, რაგინდ მწარეც უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, ამ ბნელ საქმეში მეუფეებიც არიან ჩართულნი. უფრო სწორად, ჩემი აზრით, მაღალ იერარქებსა და დეკანოზ მამალაძეს შორის მოხდა მაქინაციური გარიგება. ვინ ვის და რას ჰპირდებოდა, ვერავის გაუგია. ტრიალებს ტყუილის, სიცრუის, ღალატის, განუკითხაობის კარუსელი.

**— მამაო, რა ხდება სინოდში, გაქვთ რაიმე ინფორმაცია?**

— ამას დიდი კვლევა არ სჭირდება. სინოდში ხდება ის, რა სამარცხვინო ფაქტიც გვიდევს თვალწინ. მოყოლებული სააკაშვილიდან, როცა სინოდის კრებებს საქართველოს მოღალატე მთავრობის წარმომადგენლები აკონტროლებდნენ ბოკერიას მეთაურობით, იგივე გრძელდება დღესაც. ყოვლად მიუღებელია, იჯდე (როგორც თვითონ უწოდებენ) წმიდა სინოდის კრებაზე გარეგნულად, როგორც ღვთის მსახური, ხოლო სულით დაბინძურებული. სამწუხაროდ, იქ ისევ ჯგუფებად არიან დაყოფილნი: „მიშისტები“ და „ოცნებისტები“. ეკლესიაში სანამ ერთობა არ იზეიმებს და სულიერი სიმშვიდე არ დაისადგურებს, მაგათ ლოცვას არანაირი მადლი არ ექნება და საქართველოსაც არაფერი ეშველება. „ვითარ წერილ არს, ვითარმედ ერი ესე ბაგითა მათითა პატივს მცემს, ხოლო გულნი მათნი განშორებულ არიან ჩემგან... ამაოდ მსახურებენ მე“ (მკ.: 7-6).

თქვენი კითხვის პასუხიც ეგ არის.

**— მამაო, ინტერნეტში ფოტოები ვრცელდება, სადაც თითქოს მეუფე იაკობი მხედრიონელებთან არის გადაღებული ავტომატით**



**ხელში. მართლა იყო მეუფე მხედრიონელი?**

— „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთათვის ყოვლად მიუღებელია ის ეპისკოპოსი, ვინც წინ აღუდგება მათ შავბნელ საქმეებს.

რაც შეეხება მეუფე იაკობს, მოგახსენებთ: ვინ იყო წარსულში, მისი პირადი საქმეა, ახლა ფაქტია, რომ ჭეშმარიტების გზას ადგას და იცავს სარწმუნოებას. გავავლოთ პარალელი: ზვიად გამსახურდიას ვინც „ერთგულად“ ედგა გვერდით, შემდეგ სააკშვილთან აღმოჩნდნენ. სწორედ მათ მუხანათურად გაწირეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

პარადოქსულია „რუსთავი-2“-ის ტენდენციურობა. ჩასაფრებულია, გააშუქოს ეკლესიის დამაკნინებელი ფაქტები. ატრიალებენ რეკლამებს, რომ ეკლესია საშიშია, ხოლო სააკაშვილის მეხოტბე ეპისკოპოსებს, მათ დანაშაულზე დუმან: ვინ რამდენი წელი იხდიდა სასჯელს ყაჩაღობისთვის, ქურდობისთვის, უზნეობისთვის, ვინ მაგადანის ციხეში იხდიდა სასჯელს მკვლელობისთვის, ბავშვის გაუპატიურებისთვის და სხვა რამდენი ჩამოვთვალო.

**— ხომ არ დაგვისახელებდით მათგან რომელიმეს?**

— სააკაშვილზე ფანატიკურად შეყვარებული კალისტრატე მარგალიტაშვილი, გრიგოლ ბერბიჭაშვილი და სხვები. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ქართველი ხალხი ბრძენია, მათ არაფერი გამოეპარებათ.

**— მამაო, გაიჟღერა, რომ ნაცმოძრაობის მხარდამჭერი მეუფეები კვლავ არეულობას გეგმავენ. სანამ დიდი კრება არ ჩატარებულა, მანამ რა მექანიზმი არსებობს, რომ ამ მეუფეების ძირგამომთხრელი ქმედებები აღმოიფხვრას?**

— სააკაშვილის მეტოხზე ეპისკოპოსები ისე აქტიურობენ, არაფერს იშურებენ, რათა ფაშისტი, საერთაშორისო ბოროტმოქმედი სააკაშვილი საქართველოში დააბრუნონ, რომელმაც თითქმის მთელი საქართველო ციხეებში გამოამწყვდია. მოაწყო საკონცენტრაციო ბანაკები, დაიწყეს პატიმართა დაუნდობელი მკვლელობები, მამაკაცთა შეურაცხყოფა, გაუპატიურება, ენით აუწერელი წამება.

ე.წ. მეუფე პეტრე ცაავა აცხადებს, ჩატარდეს რუის-ურბნისის მსგავსი კრება. ათეული წლის წინ ხმამაღლა ვაცხადებდი ამას, არავინ მისმინა. სწორედ ამ განუკითხაობას განვუდექი დროებით.

მისასალმებელია, რომ სასულიერო პირთა მცირე ნაწილი ამხელს არსებულ გასაჭირს. ეს მაშინ უნდა გაეკეთებინათ, როცა მე, მხოლოდ ჩემს მრევლთან და ბატონ გურამ შარაძესთან ერთად ვებრძოდით უკეთურებას, აგენტურული საქმიანობისთვის შემოგზავნილ იელოველთა სექტას, რომელმაც გზა განუმზადა ზნეობრივ გარყვნილებას, მართლმადიდებლობის მტრებს. ეს მაშინ უნდა გაეკეთებინათ, როცა უმოწყალოდ დაგვარბიეს და მე 5 წლით გისოსებს მიღმა მამყოფეს. მე მაშინ ვაფრთხილებდი, ბოლოს თქვენ კარებს მოადგებიან-მეთქი. ახლა უფსკრულის პირას ვდგავართ და კვლავ არ არის ის ერთობა, რომელიც გადაგვარჩენს ყბადაღებული მორევისგან. გეკითხებით, ვინ უნდა ჩაატაროს საეკლესიო კრება, სახეშეცვლილმა ნაციონალებმა, ანუ იგივე რესპუბლიკელებმა? რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ პირველივე დღიდანვე გვერდით დაიყენა უსუფაშვილ-ხიდაშელის ხელმძღვანელობით? რესპუბლიკელებმა, რომელნიც აცხადებენ, პოლიტიკაში უნდა მოვიდნენ ლესბოსელები, ბისექსუალები, ტრანსგენდერები და სხვა მორალურად გახრწნილი პირებიო.

ვინ უნდა მოიწვიოს კრება, მათ, ვინც არ ცნობს ილიას, ვაჟას, აკაკის, სამაგიეროდ, პრემიებს მიაგებენ ბურჭულაძეებს, ქარუმიძეებს, ბურაძეებს, დეისაძეებს — ერის სამარცხვინო, ცხოვრების ზედმეტ მუწუკებს?

მეკითხებით, რა მექანიზმი არსებობს სხვა, რომელიც შეაჩერებს სასულიერო პირთა აღვირახსნილობას. მოგიგებთ მათეს სახერებიდან: „რამეთუ წერილს არს, დავჰსცე მწყემსი და განიბნენ ცხოვარნი სამწყსოისა მისისანი“ (მთ. 14-27). ჰყავს კი დღეს მწყემსმთავარი ეკლესიას? მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: იქნებ ჩახვდნენ სამშობლოსა და სარწმუნოების მოღალატე სასულიერო პირნი, რამეთუ ისინი აბრკოლებენ ერის კეთილდღეობას და თვითლიკვიდაცია გამოაცხადონ, დადგნენ სინანულში. „ვაი უკეთურს, ბოროტეულს, რადგან მოიმკის თავისი ხელის ნამოქმედარს“ (ესაია წინასწარმეტყველი III-11). ნუთუ საშინელი სამსჯავრო არ აძრწუნებთ მათ?



**— მამაო, როგორც ვიცით, ზუგდიდან უნდა გაიტანონ დედა ღვთისმშობლის კვართი. როგორც ამბობენ, მიდის დიდი შრომა ყალბი ასლის დასამზადებლად.**

— საქართველო წარსული საუკუნეებიდან სიცოცხლის ფასად იცავდა ჩვენთან დავანებულ სიწმიდეებს. სწორედ ეს სიმდიდრე წარმოადგენს უტყუარ ბეჭედს, რითაც საქართველო მსოფლიო საქრისტიანოს წინაშე წარმოჩნდება, როგორც ღვთივრჩეული მიწა-წყალი და წილხვედრი ყოვლაწდმიდა დედისა. უამრავ სიწმიდეთაგან ერთ-ერთი და უძვირფასესი, შეუფასებელი სამოსია კვართი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა, რომელიც დაბრძანებულია ზუგდიდში, დადიანების სასახლეში. ფაქტია, რომ დიდი ბრძოლა მიდის, რათა გაიტანონ საქართველოდან მოტყუებით და შემდეგ ასლი შემოგზავნონ. შეგახსენებთ, რას შეეწირა ბატონი აკადემიკოსი გურამ შარაძე, რომელსაც გაუთავებელი ბრძოლა ჰქონდა ვინმე გუროვთან, რათა საქართველოდან არ გაეტანათ ერის სიწმიდეები. ბატონი გურამი აღარ არის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს შინაურ თუ გარეულ მტრებს. საბედნიეროდ, არის ერის წარმომადგენელთა მცირე ნაწილი, რომელთაც სტკივათ ტანჯული სამშობლოსა და სარწმუნოების ტკივილი. ისინი ყოველნაირად ეცდებიან, ეს საუნჯე არ გაიდეს საქართველოდან. ის უნდა ბრძანდებოდეს იქ, სადაც არს დავანებული. მას მეტად პატიოსანი მომვლელი ჰყავს. საერთოდ, ეკლესიური სიწმიდეების დაცვა, უპირველესად, საპატრიარქოს პრეროგატივაა. რაც შეეხება მისი ასლის დამზადებას, ყოვლად დაუშვებელია. თითოეულმა ჩვენგანმა სიცოცხლის ფასად უნდადავიცვათ, რამეთუ ყოვლადწმიდა დედა ამას არ გვაპატიებს. მთელი ერი უნდა დავდგეთ ამ სიწმიდის დასაცავად.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# ნანა კაკაბაძე:
# საპატრიარქოში ნამდვილად მზადდებოდა გადატრიალება, რომლის უკან „ნაცმოძრაობა“ და მისი აგენტურა იდგა

**როცა სოსო ოხანაშვილი პატრიარქთან არ იმყოფებოდა და სადმე გადიოდა, ილია II-ეს სამაჯურს უკეთებდნენ, რათა მისი ყველა მოძრაობა, ყველა სიტყვა ჩაწერილიყო და არაფერი გამოჰპარვოდათ. პატრიარქს კი ატყუებდნენ, თითქოს ეს სამაჯური ჯანმრთელობის მდგომარეობის საკონტროლებლად იყო საჭირო. სინამდვილეში კი მოსასმენი აპარატურა გახლდათ.**



*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, საპატრიარქოსთან დაკავშირებული სკანდალი არ ცხრება. შორენა თეთრუაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, რომ სოსო ოხანაშვილი ბევრად აჭარბებდა თავის უფლებამოსილებებს. როგორც აღმოჩნდა, იგი „ნაცების“ ფავორიტია და აღნიშნულ თანამდებობაზეც სწორედ მათ დროს დაინიშნა.**



— დიახ, ეს იყო პირველი დაცვა, რომელიც „ნაციონალებმა“ პატრიარქს გამოუყვეს. მანამდე მის უწმინდესობას არავითარი დაცვა არ ჰყოლია. ეს გახლდათ დაცვა კი არა, აგენტურა, პატრიარქისადმი ღიად თვალთვალი და მიყურადება. ეს აგენტურის სქემა პირველებმა „ნაციონალებმა“ მოიფიქრეს და პატრიარქის თვალთვალს და მიყურადებას დაცვა დაარქვეს. ისინი ყველაფერს ისმენდნენ, იწერდნენ, აკონტროლებდნენ. მაქვს ასეთი ინფორმაციაც: როცა სოსო ოხანაშვილი პატრიარქთან არ იმყოფებოდა და სადმე გადიოდა, ილია II-ეს სამაჯურს უკეთებდნენ, რათა მისი ყველა მოძრაობა, სიტყვა ჩაწერილიყო და არაფერი გამოჰპარვოდათ. პატრიარქს კი ატყუებდნენ, თითქოს, ეს სამაჯური ჯანმრთელობის მდგომარეობის საკონტროლებლად იყო საჭირო. სინამდვილეში კი მოსასმენი აპარატურა გახლდათ. სად არის, დღეს, ის სამაჯური?! ეს იყო აგენტურა. რატომ იყო პატრიარქზე ასეთი ზეწოლა? რატომ იყო იგი ასეთი მნიშვნელოვანი სააკაშვილის, „ნაცმოძრაობისა“ და მის უკან მდგომი მსოფლიოში გაბატონებული ძალებისთვის? — იმიტომ, რომ პატრიარქმა თავისი ცხოვრების პერიოდში შეძლო აბსოლუტურად, ფერფლადქცეული, მიწასთანგასწორებული ეკლესია აეღორძინებინა. ილია II იმ ძალებისთვის, რომლებიც ყველა და ყველაფერზე კონტროლს მოითხოვდნენ, საშიში გახდა. ამიტომაც, გამოიგონეს პატრიარქის დაცვის ინსტიტუტი, რომელიც რეალურად, დაზვერვის ინსტიტუტი იყო.

**— როგორ აღმოჩნდა სოსო ოხანაშვილი პატრიარქის დაცვაში?**

— ოხანაშვილი პატრიარქის სიძედ არ დაბადებულა, იგი „ნაცებმა“ „მიაწოდეს“. პატრიარქს ისე უქებდნენ ამ პიროვნებას, რომ მერე, თავად ათქმევინეს, მომწონსო. დღეს, ოხანაშვილი სხვის უფლებამოსილებაზე, კერძოდ, შორენა თეთრუაშვილზე ლაპარაკობს და ავიწყდება, რომ თავად პატრიარქის დაქვემდებარებაში კი არა, არამედ სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომელი იყო. მაშინ რატომ იჭრებოდა საპატრიარქოს საქმეებში? ვინ ეკითხებოდა ოხანაშვილს ვინ შედიოდა და გამოდიოდა საპატრიარქოში? დაცვის სამსახურს ოთახშიც კი არ უშვებენ და ეს რატომ აჯდა საპატრიარქოს თავზე. ამ საკითხზე რატომ არავინ მსჯელობს?

არ მესმის ვიღაცა ოხანაშვილს რატომ ეკითხებოდა ვინ შესულიყო და გამოსულიყო საპატრიარქოდან? ამას ასე თამამად იმიტომ გიყვებით, რომ მის მიერ უფლებამოსილების გადამეტება საკუთარ თავზეც გამოვცადე: გავიკითხე, ვინ შეუშვა ნანუაშვილი საპატრიარქოში და გავარკვიე, რომ „ნებართვა“ ოხანაშვილს გაუცია. იგივე, ოხანაშვილი მე, საპატრიარქოში არ მიშვებდა. ეს კიდევ არაფერი, იგი ისეთ საკითხებს წყვეტდა, როგორიც არის მამა გიორგი მამალაძის დაწინაურება, მისთვისვე ორი ჯვრის ტარების უფლება და ა.შ. ამ თემაზე პირველად თქვენ დამისვით შეკითხვა. აბა, თუ გაუჩნდა რომელიმე ჟურნალისტს კითხვა: რატომ ჰქონდა ოხანაშვილს ის ფუნქციები, რაც წესით, არ უნდა ჰქონოდა. ვიმეორებ, იგი ხომ საერთოდ არ იყო პატრიარქის დაქვემდებარებაში. რომელი თანამდებობის პირის დაცვა გინახავთ, რომ ასე ერეოდეს, იჭრებოდეს დასაცავი პირის საქმიანობაში?! აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ: ე.ი. ოხანაშვილი არ იყო დაცვა და ისიც იშიფრება რაც იყო. იგი იყო აგენტურა, რომელიც საპატრიარქოში იჯდა და რომელსაც მიზნად სწორედ, საპატრიარქოს გადატრიალება ჰქონდა, რაც ბოლოს ციანიდის თემაზე დაიყვანეს. ეს ხალხი, სინამდვილეში, პატრიარქის ზურგს უკან გადატრიალებას ახდენდნენ. ხომ გაიშიფრა, რომ პატრიარქის იზოლირებას, ცალკე ოთახში გამოკეტვას გეგმავდნენ,



რასაც წყვეტდა ოხანაშვილი და მისი დანიშნული აგენტურა. ესეც კი არ გამოიძიეს და არ თქვეს: რეალურად, რა ხდებოდა. ამ ყველაფრის უკან გადატრიალება იდგა, რომელსაც ეს ადამიანი, ვითომ ოჯახის წევრი და მის უკან მდგომი ძალები ხელმძღვანელობდნენ. სიძეობაში ვუხდიდით ფულს? ვინ ეკითხებოდა ოხანაშვილს მამა გიორგი სოფლის მეურნეობაში დაინიშნებოდა თუ ქონების მართვაში? რატომ არ მოსვეს თავის ადგილზე და არ უთხრეს, რომ მისი ფუნქცია კარებში დგომა იყო. აიკლეს იქაურობა, ხელში ჩაიგდეს ყველაფერი. ამ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის არ ხდება. „რუსთავი2“-მა დახურული სასამართლო პროცესიდან გამოაქვეყნა ჩვენება. ხომ ნათელია ეს საიდანაც ხდება? ორად ორ მხარეს აქვს ეს მასალა: ერთი — პროკურორს, მეორე — დაცვას. ასევე, საინტერესო არ არის რა ფულით ცხოვრობს ოხანაშვილი გერმანიაში, დასეირნობს პეტერბურგში. ეს არის ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ისტორიის რეალობა. ოხანაშვილი წყვეტს ორი ჯვარი ეკიდოს მამა გიორგის თუ ერთი. ერი კიდევ მოთქვამს: იქნებ, უდანაშაულო იყო მამა გიორგიო. ეგ კი არა, ვინ იყო კიდევ მასთან ერთად ესეც უნდა გამოაშკარავდეს.

**— ახლა, ორი ჯვრის დაკიდების თემა ახსენეთ. თავის დროზე, „ნაციონალებმა“ როლანდ ახალაია დააჯილდოვებინეს პატრიარქს ოქრო ჯვრით.**

— რა თქმა უნდა, ნაცები უამრავ რამეს ლობირებდნენ სწორედ, ამ დაცვის სამსახურის მეშვეობით, რომელიც თავად შექმნეს. ოხანაშვილი ახალაიას მრჩევდელი გახლდათ. რამდენ მავნებლობას აკეთებინებდნენ პატრიარქს. როცა ხელისუფლება შეიცვალა, დაცვაში ილია II ისევ ოხანაშვილი დაუტოვეს. ხომ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ იგი აგენტურა იყო. რატომ არ შეცვალეს? ახლა, ოხანაშვილი კი წამოვიდა, მაგრამ იქ, მთელი მონსტრი დატოვა. თქვენ გგონიათ, დღეს პატრიარქი უსაფრთხოდ არის? კაცმა არ იცის ვინ რას უკეთებს, ოხანაშვილმა მთელი თავისი შლეიფი დატოვა იქ. მან მოიყვანა საპატრიანქოში გაქანებული „ნაცი“, შაშკინის მოადგილე ტარას შავშიშვილი და დეპარტამენტი ჩააბარა.

**— „ნაცების“ მმართველობისას მოწამლეს პატრიარქი, ახლაც ხომ არ იკვეთება მათი დანაშაული გამომდინარე იქედან, რაზეც თქვენ ისაუბრეთ?**

— ეს დანაშაული პირდაპირ გადის „ნაციონალებზე“ აბა, სხვა ვისზე გადის?! მაგრამ „ნაციონალები“ ამ იდეების და უბედურების გამტარი არიან, მათ უკან სულ სხვა ძალები — მონსტრი დგას. ამიტომაც დამთავრდა ეს გამოძიება ისე, როგორც დამთავრდა.

რეალური სურათი რომ დაედოთ, მაშინ იმ ძალებს უნდა შეხებოდნენ, რომლებიც ქვეყანაში ოხანაშვილის, „ნაცმოძრაობის“ გავლით ამ უბედურებებს აწყობენ.

ხომ ხედავთ, სააკაშვილი მთელს მსოფლიოში უპასპორტოდ მოგზაურობს. ანუ, პირდაპირი დემონსტრირება ხდება იმისა, რომ მსოფლიოს რაღაც ძალა მართავს, რომელიც სწორედ, სააკაშვილის უკან დგას. საზოგადოებას პირდაპირ აყრიან თვალში ნაცარს და ეუბნებიან: მერე რა რომ სააკაშვილს პასპორტი არ აქვს, სადც უნდა წავა, თუ უნდა ვაშინგტონში ჩაფრინდება, ან პოლონეთში, ან ბრიუსელში გამართავს შეხვედრებს და ვერცერთი ქვეყნის ხელისუფლება ხელს ვერ მოჰკიდებს იმიტომ, რომ მის უკან უზარმაზარი მსოფლიო მაფია დგას. „ციანიდის“ საქმეშიც ამ მსოფლიო მაფიის კვალი იკვეთება...

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ქართული მარშის“ შვიდი მოთხოვნა ხელისუფლებას



მოძრაობა „ქართული მარშის“ წარმომადგენლებმა ხელისუფლებას შვიდ პუნქტად ჩამოყალიბებული მოთხოვნები წარუდგინეს და შესრულების ვადა მისცეს, რომელიც 1 ოქტომბერს ამოიწურა.

გვესაუბრება „ქართული მარშის“ ორგანიზატორი **რამაზ ბაბნიძე**, რომლის განცხადებითაც, მათ მიერ რამდენიმე თვის წინ წაყენებული მოთხოვნა, ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით, ბოლომდე არ შესრულებულა.

— ჩვენ ვითხოვდით, საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდ ჩაწერილიყო, რომ ქართული მიწა უცხოელებზე არ გასხვისდებოდა. ხელისუფლებამ კონსტიტუციის პროექტში კი ჩაწერა, რომ არ გაიყიდება, მაგრამ იქ ჩაიდო ძალზე ცუდი პუნქტებიც, კერძოდ, კომერციულ ბანკებს მოეხსნათ აკრძალვა გაასხვისონ მათ მფლობელობაში არსებული მიწის ფართობები, ასევე მთავრობას მიენიჭა უფლება, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში გაასხვისონ



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა უცხოელებზე. როგორ გაიგოს ხალხმა ეს განსაკუთრებული შემთხვევა, ხელისუფლების წარმომადგენლებს ფულის შოვნა რომ მოუნდებათ, მაშინ გაყიდიან? ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ დაგვეყენებინა მოთხოვნები, რომელიც ქართული მიწის გასხვისების გარდა, სხვა საკითხებსაც ეხება. პირველი მოთხოვნაა შეწყდეს სახელმწიფოს უცხოეთიდან მართვა, რადგან საქართველოს რეალურად სოროსის ფონდი და ამერიკის ელჩი იან კელი მართავენ. მეორე — აიკრძალოს ჯორჯ სოროსის ე.წ. მოღვაწეობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, შემუშავდეს კანონპროექტი, რომელიც აკრძალავს უცხოეთიდან ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციების დაფინანსებას. სოროსის ფონდის საქმიანობის აკრძალვა ოფიციალურ დონეზე უნდა მოხდეს. ახალს არაფერს ვითხოვთ, ეს უკვე მოხდა ამერიკასა და ევროპის რიგ ქვეყნებში, აღარაფერს ვამბობ რუსეთზე, რადგან ამ ფონდის მიერ დაფინანსებული ადგილობრივი „კადრები“ ებრძვიან სახელმწიფო ინტერესებს. ასევე ვითხოვთ, რომ ყოველგვარი წინაპირობისა და გამონაკლისის გარეშე აიკრძალოს ქართული მიწის უცხოელებზე გასხვისება; რადიკალურად გამკაცრდეს საემიგრაციო კანონი, შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ კანონმდებლობასთან, ხოლო ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი ყველა პირი, დეპორტირებული იქნას საქართველოდან. საემიგრაციო კანონის გამკაცრებაში იგულისხმება უცხოელებზე ბინადრობის უფლების გაცემის სასწრაფო წესით შეჩერება. 35.000 დოლარის ფასად ურიგებენ უცხოელებს ბინადრობის უფლებას, ხოლო შემდგომ საქართველოს მოქალაქეობას, რაც ქვეყნისთვის არის დამღუპველი. მეხუთე — საბანკო კანონი შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ კანონმდებლობასთან. საბანკო-სამევახშეო სექტორს დაუწესდეს პროცენტის ზედა ზღვარი. შეწყდეს გამოსახლებები, ყველა უსახლკარო ადამიანი უზრუნველყოფილი იქნეს საცხოვრებელი ფართით. მეექვსე — შეიცვალოს საარჩევნო კანონი და სისტემა. მოხდეს ახალი კანონის შემუშავება საზოგადოებრივი ჯგუფის მონაწილეობით, ბოლო მოთხოვნაა აღდგეს სამართლიანობა, ხალხს დაუბრუნდეს უკანონოდ ჩამორთმეული ქონება. აიკრძალოს და ყველა არჩევნებიდან მოიხსნას დამნაშავე ნაციონალური მოძრაობა. ეს მოთხოვნა მარტო ნაცმოძრაობა კი არა, მის განაყოფ პარტიებსაც ეხება, ნაცმოძრაობა კი არ დაიშალა, ფაქტობრივად გაიშალა. ხელისუფლება სასწრაფოდ უნდა გადავიდეს მკაცრ რეჟიმზე, იმ მმართველობაზე, რასაც ეროვნული მმართველობა ჰქვია. პირველ რიგში სახელმწიფო სტრუქტურები უნდა გაიწმინდოს ნაცმოძრაობის ნარჩენებისა და უცხო ქვეყნის აგენტურისგან, რომლებიც მოკალათებულნი არიან აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ჩვენი ეს მოთხოვნები გადავეცით პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს და შესრულების ვადა მივეცით. ვადა უკვე ამოიწურა, ველოდებით რა პასუხს გაგვცემენ, პასუხი უნდა იყოს კი ან არა. თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს ხალხის მოთხოვნებს, „ქართული მარში“ უფლებას იტოვებს მოითხოვოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ჩატარდება ახალი დემოკრატიული საარჩევნო კოდექსით. განისაზღვრება უპარტიო ზედა და პროპორციული ქვედა პალატების უფლებამოსილებები. აუცილებლად უნდა იქნას შემოღებული დეპუტატის გაწვევის მექანიზმი, მაშინ ვერავინ გაბედავს, მარტო საკუთარ ინტერესებზე ზრუნვას.

ჩვენი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ პირველ ეტაპზე შიმშილობის დაწყებას სახელმწიფო კანცელარიასთან. ეს არის პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი დემოკრატიული ფორმა. მინიმუმ 200–300 ადამიანი დავჯდებით საშიმშილოდ, შეიძლება მეტიც, უკვე გვაქვს 250–300-კაციანი სია, რომელიც მზადაა ამ აქციაში მონაწილეობის მისაღებად. საზოგადოება ამას რომ შეხედავს, დარწმუნებული ვარ ბევრი ადამიანი გამოჩნდება, ვინც ჩვენს გვერდით დაჯდება. ერთ-ერთი მოთხოვნა კოლექტიური ნაცმოძრაობის არჩევნებიდან მოხსნა იყო, თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდა, მოსახლეობა და „ქართული მარში“ უფლებას იტოვებს, ბლოკირება გაუკეთოს ყველა საარჩევნო უბანს, ანუ არჩევნების წინააღმდეგ წავიდეთ.

— **კონსტიტუციაში კი ჩავწერთ, რომ ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდოს, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, უამრავ საქართველოს მოქალაქეს აქვს გაფორმებული ქორწინება უცხოელებთან და მათი მეშვეობით ცდილობენ მიწის ყიდვას, ასე რომ, კონსტიტუციის თქვენთვის სასურველ ვარიანტშიც რჩება ლავირების საშუალება.**

— თითქმის ყველა ხსენებულ მოქალაქე, გარკვეული თანხის სანაცვლოდა უცხოელთან ვითომდა ქორწინებაში შესული. სანამ აქამდე მივალთ, კონსტიტუციის ახალ ვარიანტში ისედაც ორი უზარმაზარი შავი ხვრელია კომერციულ ბანკებთან და მთავრობის განსაკუთრებულ შემთხვევებთან დაკავშირებით, ვერ გაიგებ, რასდაარქმევენ განსაკუთრებულ შემთხვევას, ერთი სიტყვით, ამღვრეულ წყალში თევზის ჭერის პრინციპია. კომერციულ ბანკებს ქართული მიწების 15% უკვე დათრეული აქვთ, 65% სახელმწიფოს მფლობელობაში, ანუ მთავრობის განკარგვის სფეროა, ქართული მიწის მხოლოდ 20% ეკუთვნის მოსახლეობას. გეთანხმებით, რომ უამრავი წვრილი ხვრელებიცაა დარჩენილი, რომელსაც მავანი სათავისოდ გამოიყენებს. მარგველაშვილი გაწაფულია ვეტოების დადებაში, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი იმედი არ მაქვს.

ამ კაცს არ აინტერესებს არავითარი ეროვნული, მართლმადიდებლური და ა.შ. პატრიარქი ყოველთვის იმას ამბობს, ქართულ მიწას არ შეეხოთო, ე.ი. არ გაყიდოთ ქართული მიწა უცხოელებზეო. ამას გეუბნება ადამიანი, რომელსაც მარტო საქართველოში კი არა, მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში, საქრისტიანოში აქვს უდიდესი ავტორიტეტი. უფრო მეტიც, მარტო ადგილობრივი აზერბაიჯანელები კი არა, მთელი მუსულმანური სამყარო სცემს დიდ პატივს ჩვენს პატრიარქს, მეტმა ვინ უთხრა გითხრათ, ქართულ მიწებს ნუ გაანიავებთ უცხოელებზეო. თქვენ გგონიათ, საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოსის ძირძველ მოსახლეობას, იგივე აზერბაიჯანელებს უნდათ, რომ ქართული მიწა უცხოელებზე გაიყიდოს, ისინიც წინააღმდეგები არიან, რადგან ქართულ ყაიდაზე არიან აღზრდილი და საქართველოს საკუთარ სამშობლოდ თვლიან. საქართველოს მოსახლეობის 80% ბანკების მოვალეა და ამ დროს ხელისუფლება მათ ქართული მიწის გასხვისებაზე აკრძალვას უხსნის. ამიტომ ვითხოვთ ბანკებთან დაკავშირებით კანონმდებლობის გამკაცრებას, მარტო მათ კი არა, სხვა მევახშეებსაც უნდა დაუწესდეთ შეზღუდვები, პროცენტები უნდა შემცირდეს, ისე, როგორც ევროპაშია. სიტყვით რომ ვბაძავთ ევროპას და თურმე ევროკავშირში გაწევრიანება გვინდა, ამ სფეროში რატომ გვრჩება ფეხები უკან? კრედიტზე საპროცენტო განაკვეთი 3–4%-იანი თუ ვერ იქნება, 7–8%-ზე მეტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს. თანაც ეს სესხები გრძელვადიანი უნდა იყოს, ბინა და საარსებო მიწა არ უნდა წაართვა. ამ ვალების გამო, 800.000 ადამიანი ან გამოსახლებულია ბინიდან, ანდა გამოსახლების ზღვარზეა, რადგან უკვე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება, ეს არ არის უმნიშვნელო ციფრი. მოსახლეობის 90–95%-ია ბანკების, კერძო იპოთეკარების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ლომბარდების მოვალე, რაც დალხინებული ცხოვრების გამო არ მომხდარა.

რა უნდა დავარქვათ ხელისუფლების საქციელს, რომელმაც 15 ფერეიდნელ ქართველს საქართველოს მოქალაქეობაზე უარი უთხრა. საქართველოს ისტორიას არ იცნობენ ეს უგუნურები, 400 წლის წინ იძულებით გასახლებულ ადამიანებს რა სინდისით ეუბნებიან მოქალაქეობაზე უარს?! ვიღაც 25 წლის ბიჭს გაახმოვანებინეს ეს უარი, თურმე ფერეიდნელებს არასწორი წესით შეუტანიათ განცხადება, ქართულიც არ სცოდნიათ კარგად. იმ უცხოტომელებმა, არაბებმა, თურქებმა, ირანელებმა, ჩინელებმა იციან ქართული ენა, ფოჩიანი კამფეტებივით რომ ურიგებენ საქართველოს მოქალაქეობას და ინვესტორებად ნათლავენ? იმ ხალხს უღებენ ფართოდ ქვეყნის კარს, რომლებიც მთელს მსოფლიოში კრიმინალის სტატუსით სარგებლობენ და ამერიკამ მათი უმეტესობის ქვეყანაში შეშვება ოფიციალურად აკრძალა.

სახელმწიფო მიწა-წყლისგან შედგება და ამ მიწა-წყლის გამყიდველი, სამშობლოს გამყიდველია, თანაც მარტო ისინი კი არა, ვინც ამას უშუალოდ აკეთებენ, ისინიც, ვინც გამყიდველობაში ხელს არ უშლიან, მით უმეტეს მათ აზრს იზიარებენ. ეს საქართველოს მოსახლეობამ არ უნდა დაუშვას.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# რა კავშირია „სიკვდილის ანგელოზებსა“ და სავალდებულო აცრებს შორის?



ევროპაში არის ქვეყნები, რომლებშიც აცრები რეკომენდირებულია, მაგრამ არა სავალდებულო და ეს ასეა ევროპის წარმატებულ ქვეყნებში (გერმანია, ისლანდია, ნორვეგია, ავსტრია, შვედეთი, ფინეთი, ჰოლანდია, მონაკო, ლუქსემბურგი, ესპანეთი, ირლანდია, ჩრდილოეთ ევროპის სკანდინავიური ქვეყნები ასევე ევრზონის ზოგიერთ სამხრეთ ქვეყანა), მაშინ როდესაც უფრო ნაკლებად წარმატებულ ქვეყნებში (საბერძნეთი, საფრანგეთი, მალტა, ბელგია და იტალია) სავალდებულო აცრების რაოდენობა საშუალოდ ერთიდან ოთხამდეა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სლავური ფუძის ქვეყნებში (სლოვენია, ჩეხეთი, რუმინეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, ლატვია) სავალდებულო აცრების რაოდენობა ძალიან მაღალია. დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ არცთუ დიდი ხნის წინ აშშ-ში ვაქცინის შექმნის, გამოკვლევის და გამოცემის პროცესი გადასცეს ბიოლოგიური იარაღის კვლევისა და ბიოტერორიზმზე კონტროლის განყოფილებას, რომელსაც ეწოდება **BARDA** (გაღრმავებული ბიოსამედიცინო კვლევისა და განვითარების განყოფილება) რომ, ელიც პირდაპირ პენტაგონს ექვემდებარება. (სამხედრო სტრუქტურას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანიაში სადაც ვაქცინაცია სავალდებულო არ არის ბავშვების სიკვდილიანობა 6% დაბალია, ვიდრე იტალიაში და 10% დაბალი ვიდრე ჩეხეთში, ამასთან ისეთი დაავადებების უეცარი ანთებები როგორიცაა დიფტერია გერმანიაში გასულ წელს სულ სამი შემთხვევა დაფისირდა, იტალიაში ცხრა. ექიმებს, რომლებიც ევროპაში ეჭვქვეშ აყენებენ ვაქცინაციის ეფექტურობას რიცხავენ მედიკოსების კოლეგიიდან, უკრძალავენ სამედიცინო საქმიანობას და ყველანაირად ნადირობენ მათზე მასმედიის საშუალებით, სადაც წარმოაჩენენ მათ ანტიმეცნიერული თეორიების მიმდევარ იდიოტებად რომელთაც არავიძთარი მტკიცებულება არ გააჩნიათ. ვაქცინებს ხშირად უკავშირებენ აუტიზმის შემთხვევებს. 2004 წელს აშშ-ს მედიცინის ინსტიტუტში წარდგენილ მოხსენებაში აუტიზმთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ შემდგომი კვლევები ვაქცინაციასთან დაკავშირებით უკუშედეგის გამომწვევი გახდება. აუტიზმის რისკი ზოგიერთ ახალშობილში კითხვის ქვეშ აყენებს მსოფლიო ვაქცინაციის მთელ სტრატეგიას, რომელიც იმუნიზაციის ძირითადი პროგრამაა და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს აცრებზე უარის თქმა. ამასთან დაკავშირებით შეწყვიტეს გამოკვლევები რომლებიც ადგენდნენ ვაქცინაციის კავშირს აუტიზმთან. 1991 წლის 21 მაისს იტალიის ჯანდაცვის მინისტრმა უარი უთხრა „გლაკსოსმიტკლაინ“-ს რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ინგლისურ ფარმაცეტიულ კომპანიას წარმოადგენს (მისი შტაბბინა ლონდონთან ახლოს ბრენტფორდში მდებარეობს.) სამასი ათასი ევროს ღირებულების „ბ“-ჰეპატიტის ვაქცინის შესყიდვაზე, რისთვისაც გაასამართლეს და მოგვიანებით ციხეშიც ჩასვეს მისი საქმის მოსმენისას მან განაცხადა – „თქვენ ნამდვილად გსურთ მოგახსენოთ ვინ მართავს სინამდვილეში ჯანდაცვის სისტემას და ვინ ატრიალებს აქ ყველა მექანიზმს? ჯანდაცვის მინისტრი და საერთოდ ჯანდაცვა მხოლოდ ფარმაცევტული კომპანიების ნების შემსრულებლისა და რუპორების როლს თამაშობენ!“ შემდეგ როგორ წარიმართა ჯანდაცვის მინისტრის ბედი უცნობია, მაგრამ მიმდინარე წლის 10 ივლისიდან მასობრივი საპროტესტო აქციების მიუხედავად, სწორედ იტალია გახდა მეორე ქვეყანა აშშ-ს შემდეგ, რომელშიც ძირითადი დაავადებების აცრები (სია შედგენილია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ)სავალდებულო გახდა. იტალიაში ვაქცინაცია ადრეც სავალდებულო იყო თუმცა ადრე ვაქცინაციის თავის არიდება ისჯებოდა ერთჯერადი ჯარიმით 70-ევრომდე. აღმზრდელობით, საგანმანათებლო და სასწავლო დაწესებულებებში (ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულების გარდა)ბავშვებისგან და მშობლებისგან არაფერს ითხოვდნენ, ხოლო თუ ითხოვდნენ, სავალდებულო აცრების რაოდენობა არ იყო სასწავლო დაწესებულებაში მიღების აუცილებელი პირობა. ამჯერად, კონტროლი აცრებზე სწორედ სასწავლო დაწესებულებებზე გადაიტანეს. სწორედ ისინი იქნებიან ვალდებულნი არ მიიღონ ბავშვი, რომელსაც სავალდებულო აცრა ჩატარებული არ აქვს ან ათი დღის განმავლობასი უნდა შეატყობინოს „ASL“-ს (სამსახური, რომელიც დასაქმებულია ვაქცინაციით იტალიაში და რომელსაც საავადმყოფოებთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს არის ცალკე სტრუქტურა, რომელიც ექვემდებარება პირდაპირ ჯანდაცვის სამინისტროს)ხოლო „ASL“ თავის მხრივ დაუკავშირდება მშობლებს და შეეცდება მათ დარწმუნებას, ხოლო თუ მშობლები გაჯიუტდებიან საქმე გადაეცემა არასრულწლოვანთა სასამართლოს. მშობლებს ბავშვების აუცრელობისთვის დაეკისრებათ ჯარიმა 500-დან 7500 ევრომდე ყოველწლიურად, მშობლის უფლებების შესაძლო ჩამორთმევამდე. (დამოკიდებულია მოსამართლეზე) მაგალითად საბავშვო ბაღის შემოწმების შედეგად თუ აღმოჩნდა, რომ ამ დაწესებულებაში მიბარებული ბავშვი აცრილი არ არის და აღნიშნულის შესახებ არ შეატყობინეს შესაბამის სამსახურს დაჯარიმდება საბავშვო ბაღი.



მოკლედ, იტალიაში აღნიშნული კანონის ძალაში შესვლიდან ერთ თვეში, ანუ, მიმდინარე წლის 13 აგვისტოს მედიის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ აუცრელი ბავშვები შესაძლოა, სკოლებისა და ბაღების მიღმა დარჩნენ. ეს სანქციები ახალი საკანომდებლო პაკეტის ნაწილია, რომლის თანახმად ბავშვთა აცრები საქართველოში, შესაძლოა, სავალდებულო გახდეს. ინიციატივა დაავადებათა კონტროლის ცენტრს ეკუთვნის. კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ დაავადების გავრცელების საწინააღმდეგო აცრების რაოდენობა უნდა გაიზარდოს. ამის აუცილებლობას ეპიდემიების თავიდან აცილების მიზეზით ხსნიან. ექიმები კანონპროექტს მხარს უჭერენ (არ დაუჭერენ და დაკარგავენ სამსახურს)

ოპოზიცია „შიშობს“, რომ იძულებამ შესაძლოა ვაქცინაციისადმი სკეპტიკური განწყობა უფრო გააძლიეროს, ამიტომ პროექტის სწორად წარმართვისთვის პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. ვაქცინაციის შესახებ კანონი შესაძლოა მომავალი წლიდან ამოქმედდეს. ამ ეტაპზე იძულებითი ვაქცინაცია მხოლოდ კვლევითი ლაბორატორიების თანამშრომლებს უტარდებათ. საქართველოში ბავშვისთვის, დაბადებიდან 14 წლამდე, აცრები სულ 12 დაავადებაზეა გათვალისწინებული. ვაქცინაცია ქვეყანაში უფასოა. დაავადებათა კონტროლის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილემ პაატა იმნაძემ „ამაყად“ განაცხადა, რომ – კანონი სანქციებსაც გაითვალისწინებს, ვერ გაუგიათ მშობლების 10%-ს, რომ მათი ბავშვი იყოს დაცული თუ არ ესმის მშობელს მაშინ უნდა აიძულო და გააგებინო. კარგი იქნებოდა ჯანდაცვის სამინისტრო, მშიერ-მწყურვალ მიუსაფარ ბავშვებზე ზრუნავდეს და ახალი გენოციდის პროექტს არ ჯღაბნიდეს. საიდანაც უბერავს ნაცნობი, დასავლურ-სატანური სიო ყველასთვის ცნობილია... ვაქცინაციის შესახებ კანონი მომავალ წელს ამოქმედდება. ასე, რომ აშშ-ს, იტალიის შემდეგ სავარაუდოდ ჩვენი ქვეყნის მომავალზე ჩატარდება ექსპერიმენტები. როგორც ჩანს „დიდი ექიმის და საზოგადო მოღვაწის“ სანდრა რულოვსის მიერ მსჯავრდებულებზე ჩატარებული ექსპერიმენტები რომელმაც დიდი მოგება მოუტანა „სიკვდილის ანგელოზს“და მის პატრონებს საკმარისი არ არის. მადა ჭამაში მოდის და ახალი სამიზნე ბავშვებია, ქვეყნის და ერის მომავალი! თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ბრალდება გაჟღერდა სანდრას და მისი (სამედიცინო სფეროში მომუშავე) ბანდის წევრების მისამართით, არაერთი საჩივარი შევიდა პროკურატურაში, არაერთხელ დაისვა კითხვა რატომ აცლიდნენ ორგანოებს ცოცხალ თუ მიცვალებულ პატიმრებს...სანდრას და მის ხროვას დასავლურ-სატანური კალთა იფარავს, იგივე კალთა რომელმაც ყველაზე ცნობილი ნაცისტი ექიმი-დამნაშავე, იოზეფ მენგელე დაიფარ-შეიფარა, და რომელიც „რატომღაც“არ მოხვდა იმ 23 ექიმს შორის, რომელთაც ნიურნბერგის პროცესზე კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის წაუყენეს ბრალი. მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა დამარცხების შემდეგ მენგელე სამხრეთ ამერიკაში, ემიგრაციაში წავიდა და მშვიდად ცხოვრობდა იქ 1979 წლამდე. „სიკვდილის ანგელოზს“, რომელსაც ათასობით ათასი ადამიანის სისხლში ქონდა ხელები გასვრილი, მშვიდი სიკვდილი ერგო – მენგელემ ოკეანის თბილ ტალღებში ბანაობისას განუტევა სული, თუმცა, 1985 წლამდე ბევრს ეპარებოდა ეჭვი, რომ სადისტმა ექიმმა კვლავ მოახერხა ყველას გაცურება და მშვიდად აგრძელებდა ცხოვრებით ტკბობას...

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30



# გამწყრალი მზე და უკუღმა მდგარი მთვარე

## ანდრეზები სიკვდილისთვის, შიმშილისთვის, მტრისთვის და დროთა მოქცევისთვის

***ეს წერილი იქნება რეზიუმე ჩემი წინა წერილებისა და წიგნისა („ფხოვის საკრალური დრო“), რომელიც „საერთო გაზეთში“ იბეჭდებოდა და პრეამბულა მომდევნო წერილისთვის, სადაც ხელისუფლებას (და საზოგადოებას) ვთავაზობ „ახალი პირამიდის“ მოდელს ეროვნული სივრცის გადარჩენისთვის თემის მეხსიერების ნიადაგზე...***

●

თემის მეხსიერებაში, ანუ ანდრეზულ ცოდნაში ორი დრო დგას: ქრისტემდელი და ქრისტეს შემდგომი.

ქრისტემდელი დრო იყოფა წარღვნამდელ და წარღვნის შემდგომ ეპოქებად, ანუ ნოეს ცივილიზაციის ეპოქად.

თემის მეხსიერებაში „კიდობნის გახსნის დროდ“ მოიხსენიება ენკენისთვე...

ანდრეზებში ასახულია ციკლოპური ეპოქის და ნოეს ცივილიზაციის შეჯახების მოვლენები: წარღვნის შემდგომი დროის „დაპატარავებული“ ადამიანი რომელიღაც ახალი იარაღით (ეტყობა, რკინის და ბრინჯაოს მახვილით) ამარცხებს „წინა ჟამის“ გოლიათებს (თუ დევებს?)...

წარღვნის შემდგომი დრო ქმნის სულ სხვა სამყაროს მოდელს, სულ სხვა ადამიანის ფსიქოტიპს; „შეკუმშული დრო“ იწერება პირქუშის გრდემლზე! ახალი ადამიანი პატარავდება (!) და ადაპტირდება დროსთან! „წინა ჟამის“ ადამიანი იღუპება ახალ კლიმატურ (მათთვის შეუსაბამო) დროსა და სივრცეში, იღუპება ახალ „კლონირებულ“ ადამიანთან ომში.

კოპალა და იახსარი (ხვთისშვილების მონაწილეობით), ანუ ნახევრად გამიწიერებული „ხვთისშვილნი“ და ხვთის წილნაყარი „მიწრიელნი“ ამარცხებენ გოლიათ დევებს, ანუ „წინა ჟამის“ რასას...

●

თემის მეხსიერებაში ასახულია ქრისტეს შემდგომ დროთა და „რელიგიათა“ „მიგრაციის“ პროცესი (ფაზები) ფხოვის სივრცეში.

ა) როცა ქრისტეს რჯული ვრცელდება საზოგადოების დაბალ ფენებში „ერთიანი საყმოს“ სივრცეში „უფლის ნებით“ (!!!) და არა „მახვილის ძალით“ (!!!). ეს ხდება პირველსავე საუკუნეებში და

ბ) რჯულის გავრცობა იწყება საზოგადოების და სახელმწიფოს მაღალ ფენებში „მახვილის ძალით“, როცა „ქრისტეს რჯული“ ცხადდება სახელმწიფო რელიგიად.

ფხოვის ანდრეზულ დროში ჩანს პირველი იერუსალიმური „ჯვრის“ და რწმენის და შემდგომი (IV ს.) და(XII ს.) ბიზანტიური „ხატის“ შეპირისპირების დრამატული სურათი...

●

ფხოვის ანდრეზულ მეხსიერებაში კარგად ჩანს დროთა „კლიმატური გრადაცია!“

ფხოვის საყმოს ცნობიერებაში შენახულია ორი დრო: „თოვლის და უთოვლობის“, ანუ ერთი – ქარიშხალთა მძვინვარების და მეორე – მარადიულ ზაფხულთა დგომის, როდესაც ცროლის მთაზე, უძველეს სალოცავში ცეცხლი და სანთლები „თავისით ინთებოდა“, ზამთარშიც კი ქვები და მიწა იყო თბილი.

მერე ჩანს კლიმატის ფატალური ცვლა. „მოულოდნელად“ იწყებს თოვას მწვერვალებზე, რომელიც ჯერ „ფქვილი ჰგონია ხალხს და „ასაკრეფად მიდის“, მერე დგება ისეთი უდაბური ზამთარი, რომ მთაზე „გულაღმა მწოლარე ჩიტი“ „ბრჭყალებით ცას ებჯინება“... მწვერვალთა სალოცავებს „ქარიშხალი ფარავს“ და „საფარველი ედება“...

ხოლო ფხოველნი ათენგენობას სანეს მთაზე (ე.ი. ივლისის ბოლოს!) უკანასკნელ დღეს მართავენ ყინულზე და სადღაც მიდიან?! (თუ სად მიდიან, ეს ცალკე თემაა). ე.ი. თემის ორი აყრა ჩანს ანდრეზულ ცოდნაში – ერთხელ სიცხისა (გლობალური დათბობის) და მეორეჯერ „გამყინვარების“ მიზეზით!..

ახლა ქადაგის სიტყვით, კვლავ დადგება უთოვლობის ჟამი და ტყეები გადაივლიან მწვერვალებზე, მერე დაშრება წყლები – ეს დრო ხვთისკარზე გადმოსულ ანგელოზთა ახალ კრებულს (დასს) გადმოჰყვა...

●

ფხოვის დროთა ამ ანდრეზულ სივრცეში დგას ყველა მოვლენა. ყალიბდება თემის, სამეურნეო და ფსიქოლოგიური სისტემები. კერძოდ:

– ენერგეტიკული;
– ეთნო-კულტურული;
– ეთნო-ფსიქოლოგიური;
– რჯული და საადათო სამართალი;
– საყმოს დაცვის მისტერიული საკრალური უნარი;
– ბუნებასთან კავშირის პანთეისტური უნარი;
– ნათელმხილველთა ინსტიტუტი და დოსტაქართა კასტა.

●

ფხოვის თემის მეხსიერებაში „ჩადგმულია დროთა“ გამმიჯნავი სამანები:

– ციხეგორები და საკერპოები, დევ-დედაბერთა ნადგომები, ციკლოპური, ქვებით ნაგები ნამოსახლარები.

ეს წარღვნამდელ დროთა და პირველ ცივილიზაციათა ანაბეჭდია.

მეორე, მომდევნო შრეებში, მოჩანს კოპალა-იახსარის ომები; მწვერვალებზე მდგარი მზისა და მთვარის ზიკურატები; ქალის და კაცის (მამრის) გენიტალიების („ფალოსის“ და „კუტმაღალის“ ქვები და ნიშები).

მკვეთრად გამოკვეთილია ხახმატის, ანატორის, ფხიტუს, საჩალისწვერის, იემთგალოს, კარატეს წვერის, მახაწალისა და სხვა ქრისტემდელი ჟამის ადგილები და ტოპონიმები გარკვეული არტეფაქტებით და დღემდე გაუთხრელი) გაუცხოვებული) სრულიად იდუმალი სამყაროებით...

მესამე, მომდევნო შრეებში მოჩანს ქრისტეს დრო, ანუ „ჰაო-ხოხის“ ჩამოსვლა (ქადაგის ტექსტი), ქრისტეს დედის მარიამის სოფლები, მწვერვალებზე აწ უკვე დანგრეული ნატაძრალები! დანგრეული, ჩემს მიერ უკვე ხსენებული ფატალურ კლიმატურ დროთა „შემობრუნებით“ და „უჟამო ჟამთა“ დგომით, ანუ „ჩვენს დროში“ „სხვის დროთა“, „სატანის დროთა“ ჩამოდგომით!

თემის ანდრეზულ დროში ჩანს რელიგიათა და კულტურათა შერწყმის პროცესი (ხოგაის მინდის და თორღვა ძაგანის ფენომენი – მზის და ჯვრის სინთეზი“)...



ჩვენში ჩარჩენილია საუკუნეთა ცოდნა და ინფორმაცია, აღბეჭდილია სულისა და სხეულის „ეტრატზე“, კაცობრიობის დიდი გამოცდილება ჩვენს სისხლს მოჰყვება... ჩვენ კი არ ვიყენებთ მას და ვცდილობთ მის განდევნას!

●

ფხოვის ცნობიერებაში იკვეთება ორი დრო: „შენი“ და „სხვისი“ – „უცნობი დრო“.

„უცნობი დრო“ აჩერებს და „ანგრევს“ (ბლოკავს) „შენს დროს!..“ ვიდრე უფლის ხელი არ შეაჩერებს მას და ერის (საყმოს) სივრციდან არ გადაყრის „უარყოფით“ ენერგიას, ვიდრე არ „გადაბერტყს“ ერის ცნობიერებაზე დაყრილ „ობს“ და საყმოს თემს არ მისცემს მოქმედების, ანუ „მახვილის წარმართვის“ და „სიტყვის გამორჩევის“ ნებას (უნარს)...

●

ამდენად, საყმოს მეხსიერებაში დგას ეპოქა (დრო) სრულიად დახურული, ჩაკეტილი და გადაულახავი! და მერე დგება დრო „მახვილის წარმართვის“ და ფატალური მტერზე იერიშისა, ანუ სატანურ-ქაჯურ ენერგიებზე გამარჯვების შესაძლებლობა.

ანდრეზული ცოდნა (მითი) გვეუბნება და გვასწავლის ამ მტერზე გამარჯვების ხელოვნებას, საიდუმლო ცოდნით მიგვანიშნებს დახურულ სივრცეში (ქაჯთა ქალაქში“) შესვლის და გამოსვლის ხერხებზე!..

და სრულიად ფატალურ მტერთან და ომში გამარჯვების და გადარჩენის შესაძლებლობაზე?!

●

თემის მეხსიერება მიგვანიშნებს სულიერ ენერგიებზე, რომელიც თემს და თემის დამცველ მეომარს აყენებს ხორცზე მაღლა, ანუ გაჰყავს ხელშეუვლები უხორცობის ზღვარზე...

სალოცავთა ენერგეტიკა და რწმენა „საფარველს ადებს“ მთლიან საყმოს (და მის მეომრებსაც) და შეუვალს ხდის ისეთი იდუმალი ძალისთვისაც კი, როგორიც „ჟამნი“ იყვნენ! ეს ნახევრად ხილული და უხილავი, ეს ნახევრად ადამიანური და ნახევრად სატანური მტერი ვერ შედის ძლიერი სალოცავების ენერგეტიკით დაცული „საყმოს“ (თემის) საზღვარში და ვერ აზიანებს მას!..

და შედის რამდენადმე „ცოდვით გატეხილი“ თემის სივრცეში.

●

ფხოვის ანდრეზულ სივრცეში მოულოდნელად დგება დროში სხვა, უცნობი დრო: დიდში – მცირე, და მცირეში – დიდი!

აქ კოსმოსის ჩაკეტილი სივრცე (ვაკუუმი) სავსეა ვირტუალური – ნახევრად ხილული და უხილავი არსებებით, რომლებიც შემოდიან და გადიან ხორციელთა სამყაროში. ეს ფხოვის მისტიკური სამყაროს თითქოს ანომალიური, მაგრამ რეალური მდგომარეობაა.

ქადაგი მთვარის და უხილავი სამყაროს მედიუმია

**ხევისბერი** – მზის მედიუმი.

**სულის ხუცესი** – მიცვალებულთა სულეთში გადასვლის მისტერიის აღმსრულებელი.

●

თემს აქვს თავისი მოტივაცია, განწყობის ფსიქოლოგია ყველა დრამატული და ფატალური ვითარებისთვის:

სიკვდილისთვის,
შიმშილისთვის,
მტრისთვის

„ცათა მოქცევისთვის“, ანუ „გამწყრალი“ წითელი მზის და მთვარის „უკუღმა დგომისთვის“! მას იცავს რიტუალთა, ქადაგთა, ხევისბერთა მისტიკა, საკრალური გარემოს აურა!..



●

მან იცის, როგორ გააძლიეროს თემის ენერგეტიკა და სიმამაცე სიტყვის ენერგიით („ერთს თუ მოგვიკვლენ, დავმარხავთ, სხვა კიდე გაიზრდებისა!“), მას არ ეშინია სიკვდილის!

მაგრამ ეშინიაუზნეობის და სირცხვილის – კარს მომდგარი სირცხვილი სიკვდილს განატრებსო!..

●

სირცხვილის და მორალის ფენომენი, რომელიც დღეს ქრება, ჩვენს საზოგადოებაში უნდა გავააქტიუროთ თემის ცნობიერების (მეხსიერების) განახლებით!

უსირცხვილო, ანუ უზნეო ადამიანი, ქალი თუ კაცი ყველაფერს იკადრებს!..

ხოლო თუ ერთიანი თემი ფატალურად უზნეოდ იქცა, ეს ამ (თემის) საყმოს კატასტროფის ნიშანია და იგი იღუპება!

ეს ჩვენ ვიცით ბიბლიიდან და რასათა ისტორიებიდან და თემის სიბრძნეც გვეუბნება ამას:

ანდრეზი (და ფოლკლორი) მიგვითითებს ურწმუნობით, უზნეობით და „ავი ენობით“ გადაშენებულ სოფლებზე და აღძრულ ომებზე (ამის მაგალითები ჩვენ ბევრი ვიცით და ახლა აღარ ჩამოვთვლი)!..

●

თემის თვისებაა ანდრეზული სიბრძნის შენახვა, მისი დაფარვა („საფარველის დადება“), მთლიანად აყრილი თემის (სოფლის), სივრცეზედაც კი რჩება გარკვეული ცოდნა, რომელსაც ციხე-გორთა, ციხე-ქალაქთა, იდუმალ ნასახლართა და ნიშთა ქვებიც კი ღაღადებენ, ინახავენ უძველესი მცენარეები და ცხოველები...

ბოლოს და ბოლოს, კოშკებზე შემოდგმული სარკოფაგები ინახავენ ამოუხსნელ საიდუმლოს, სადაც წმიდა ცხოველის ძვლები და ხარის ვეგები ინახება!..

ჩვენ იმდენად გავუცხოვდით საკუთარი თემის ისტორიისგან, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი თემიც და ამ თემთა სიცხადეში მდგარი ცოდნის დანახვაც არ შეგვიძლია!

ჩვენ ვერ ავაშენებთ ახალი ქვეყნის, ახალი სახელმწიფოს „პირამიდას“, თუ ვერ შევალთ ჩვენი ისტორიული ცოდნის წიაღში, თუ ვერ შევაღებთ „რა მექნას“ ციხის საიდუმლო კარს და იქიდან არ შევხედავთ *ახალ* გლობალურ (მე ვიტყოდი, „სატანურ“) საუკუნეს!..

**კობა არაბული,**
**მწერალი, ეთნოლოგი**

# ქურთისტანი და კატალონია – ორი ახალი სახელმწიფო თუ ორი ახალი ცხელი წერტილი?

მოვლენები პლანეტის პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, ყოველდღიურად იცვლება. მიმომხილველებსა და პოლიტოლოგებს უჭირთ გამოარჩიონ, რომელი მოვლენა უფრო მნიშვნელოვანია სამყაროში. თუმცა, დღევანდელობიდან გამომდინარე, ყველა მოვლენა რეზონანსულია. განსაკუთრებით საყურადღებოა მსოფლიოს „ცხელ წერტილებში“ არსებული ვითარება.

ერაყის ქურთისტანში გამართულმა რეფერენდუმმა მეზობელი და, საერთოდ, რეგიონის ქვეყნების გაღიზიანება და შეშფოთება გამოიწვია, გაისმა მუქარაც ძალის გამოყენების შესახებ. ამიტომაც ქურთების ლიდერი იძულებული გახდა, განეცხადებინა, რომ მათ სრული დამოუკიდებლობა არ უნდათ და მზად არიან, ყველა ქვეყანასთან გამართონ მოლაპარაკება და ითანამშრომლონ. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, ქურთებს ჯერჯერობით უკვე დაუწესეს გარკვეული სანქციები. თავდაპირველად ერაყის ხელისუფლებამ – მათ ტერიტორიაზე შეაჩერა ყოველგვარი სატრანსპორტო მიმოსვლა, მათ შორის, საჰაერო ფრენები.

როგორც ცნობილია, ერაყში ქურთები გაზისა და ნავთობის საბადოებით მდიდარ ტერიტორიაზე სახლობენ. პოლიტოლოგების მოსაზრებით, მათ სწორედ ბუნებრივი რესურსების იმედი აქვთ. თუმცა ირანმა და თურქეთმა თუ ჩაუკეტეს საზღვრები და იზოლაციაში მოაქციეს, მათი სიმდიდრე უსარგებლო გახდება. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ქურთებს აშშ-ის მხარდაჭერის იმედი აქვთ. პოლიტოლოგები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ აშშ-სა და თურქეთს შორის „შავმა კატამ“ გაირბინა, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა. მართალია, ორივე ქვეყნის ლიდერების მკვეთრი განცხადებების შემდეგ, ერთი კვირის წინ დონალდ ტრამპის მიწვევით რეჯეფ ტაიფ ერდოღანი აშშ-ს სტუმრობდა, მაგრამ ურთიერთობების გაუმჯობესებაზე საუბარი, როგორც ჩანს, ნაადრევია.

ექსპერტების განცხადებით, აშშ თურქეთზე გავლენას ვერ იქონიებს და ქურთები რეგიონში, ფაქტობრივად, ეულად რჩებიან. აქვე საყურადრებოა. რომ იგივე თურქეთი მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის მხარესთან რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების შ-400-ის შეძენაზე. ნატოს წევრი ქვეყნის მტრულად შერაცხულ ქვეყანასთან სამხედრო თანამშრიმლობას(მით უფრო, საბრძოლო იარაღის შეძენას) ექსპერტები და პოლიტოლოგები უცნაურად მიიჩენვენ. ამასთან თურქეთს არც ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებთან აქვს კარგი დამოკიდებულება და ამიტომაც აიღო გეზი რუსეთისკენო, აცხადებენ პოლიტოლოგები.

გასულ კვირას „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე განვითარებულმა მოვლენამ ევროკავშირის ქვეყნები საგონებელში ჩააგდო. ესპანეთის რეგიონში, კატალონიაში დამოუკიდებლობის მოთხოვნით რეფერენდუმი თითქმის ერთი თვის წინ დაიგეგმა. რეფერენდუმს ესპანეთის ცენტრალური მთავრობა, თავისთავად, ეწინაღმდეგებოდა. ხელისუფლება ეძებდა გზებს თუ როგორ ჩაეშალა რეფერენდუმი. ამ მიზნით იმყოფებოდა გასულ კვირას აშშ-ში ესპანეთის პრემიერ-მინისტრი რახოი. იგი დონალდ ტრამპსაც შეხვდა და მისგან მხარდაჭერაც მიიღო. ამის სანაცვლოდ ესპანეთმა უნდა გააძლიეროს ვენესუელის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები, რაზეც აშშ-ის მხარემ თანხმობა მიიღო.

რეფერენდუმის ჩატარება ესპანეთის ხელისუფლებისთვის პანაცეა არ უნდა ყოფილიყო. კატალონიის მოსახლეობის უმეტესობა სოციალური გამოკითხვებით, დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იყო განწყობილი.




მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ მოლაპარაკებების ნაცვლად ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ამჯობინა. რეფერენდუმამდე ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან კატალონიაში ჯარი და პოლიცია შეიყვანეს, რომლებმაც ბიულეტენების ამოღება, საარჩევნო უბნების დალუქვა-დახურვა განახორციელეს...

„ესპანეთის სირცხვილი“, – ასე შეაფასეს რეფერენდუმის დამთავრების შემდეგ განვითარებული მოვლენები მიმომხილველებმა. ასეთი შეფასების მიზეზი ჩატარებული რეფერენდუმი კი არა, არამედ ხელისუფლების მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება გახლდათ. რეფერენდუმის დაწყებისთანავე დილით პოლიცია მშვიდობიან მოსახლეობას საარჩევნო უბნებზე ძალისმიერად დაუპირისპირდა, ამან კი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. პროტესტის გრძნობა გაუნჩდათ მათაც, ვინც რეფერენდუმის, დამოიკიდებლობის წინააღმდეგნი იყვნენ. „კატალონიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ხელისუფლების მიერ ძალის ასეთი უხეში გამოყენების გამო მოვედი რეფერენდუმზე“, – განუცხადა ჟურნალისტებს ერთ-ერთმა მოქალაქემ. აქვე სათქმელია, რომ მოსახლეობა პოლიციას ძალისმიერი მეთოდებით არ დაუპირისპირდა და სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ადგილობრივი, კატალონიის პოლიცია ხალხის მხარეს დადგა, ამის შემდეგ შეწყდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. თუმცა დაზარალებულთა რაოდენობამ კატალონიაში ოფიციალური მონაცემებით 900-ს მიაღწია, აქედან რამდენიმე მძიმე მდგომარეობაშია.

ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ქვეყნის ერთიანობის მხარდამჭერი მიტინგი გაიმართა. ძალისმიერი მეთოდების და მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ მომიტინგეები პრემიერის გადადგომასაც მოითხოვდნენ.

საბოლოოდ რეფერენდუმი მაინც ჩატარდა, სადაც ამომრჩეველთა 90-მა პროცენტმა მხარი კატალონიის დამოუკიდებლობას დაუჭირა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეს პრემიერ რახოის დამსახურებაა, რადგან აშშ-ის მხარდაჭერის იმედით ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ამჯობინაო. თავად ამერიკის მხარეს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. ევროკავშირის ქვეყნებიც რეფერენდუმის წინაალმდეგ იყვნენ განწყობილი, მაგრამ კატალონიაში რამდენიმე ქვეყნის 33 დამკვირვებელი იმყოფებოდა. მათ შორის დანიიდან, შვედეთიდან, ნორვეგიიდან, შოტლანდიიდან... ევროპული პრესის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნები დაბნეულები არიან, გავრცელდა ხმები, რომ თითქოს ანგელა მერკელმა დაურეკა რახოის და უსაყვედურა. თუმცა ოფიციალურად არაფერი ისმის.

ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ კატალონიას, შესაძლოა, ბასკებმაც მიბაძონ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ესპანეთის ხელისუფლებამ ბევრი შეღავათი მისცა. ამიტომაც იქაური შეიარაღებული დაჯგუფება „ეტა“ განიარაღდა. აქედან გამომდინარე, მოვლენები, რომლებიც, შესაძლოა განვითარდეს, ბუნდოვანია არა მხოლოდ ესპანეთში, არამედ ევროკავშირში.

შეგახსენებთ, რომ კატალონია ესპანეთის ავტონომიური წარმონაქმნია პირენეის ნახევარკუნძულზე. 32,2 ათ.კვ.კმ ფართობზე 7,5 მლნ. მოსახლე ცხოვრობს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კატალონია ესპანეთის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური დონორია, სადაც განვითარებულია როგორც სოფლის მეურნეობა, ასევე მრეწველობა. დედაქალაქი ბარსელონა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საზღვაო პორტია. აღარაფერს ვამბობთ საფეხბურთო კლუბ „ბარსელონაზე“, რომელიც მსოფლიოში უძლიერესთა შორის განიხილება. ამ კლუბის გულშემატკივრებს, შეიძლება ითქვას, ეზიზღებათ მადრიდის „რეალი“.

რეფერენდუმის შედეგები ახლა კატალონიის ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცემა და საბოლოო სიტყვას ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო იტყვის. თუმცა, ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასტიკად ეწინააღმდეგება კატალონიის დამოუკიდებლობას.



გია ბურდული
551 71 27 07

# გრაკლიანის წარწერა გაშიფრულია!

2015 წლის ივლისს სენსაციური აღმოჩენა მოხდა საქართველოში. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც გათხრებს აწარმოებდა და აწარმოებს დღემდე პროფ. ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე, მდინარე ლეხურას მარჯვენა ნაპირას წამომართულ გორაზე, აღმოაჩინა უცნობი დამწერლობის ერთსტრიქონიანი წარწერა.

გრაკლიანის **გორას კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის** სტატუსი მიენიჭა.

„...ადგილზე აღმოჩენილი არტეფაქტები უნიკალურია და გრაკლიანის უწყვეტი განვითარების ისტორიას ადასტურებს. გრაკლიანის შესახებ მასალები გამოქვეყნებულია მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო გამოცემებში – საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიასა და ესპანეთში. აშშ-ში, მაიამის ბეტა ლაბორატორიაში ჩატარებული იქნა ანალიზი, რათა გადაგვემოწმებინა თუ რა პერიოდს განეკუთვნებოდა აღნიშნული წარწერა და ცოტა ხნის წინ მივიღეთ ანალიზის პასუხი, რომლის მიხედვითაც აღმოჩენა ლაბორატორიამ ძვ.წ. XI–X საუკუნეებს მიაკუთვნა, ანუ ეს არის 3000 წლის წინანდელი წარწქერა", – განგვიმარტავს ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფ. ვახტანგ ლიჩელი.

კითხვაზე, „სამეცნიერო წრეებში თუ არის ვარაუდი, რა ენაზე შეიძლება შესრულებული იყოს წარწერა", პროფ. ვახტანგ ლიჩელი პასუხობს:

„ვიდრე წარწერა არ გაიშიფრება, ამის თქმა ძალიან რთულია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გარკვეული ნიშნები ძალიან სპეციფიკურია და ანალოგი არა აქვს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს შეიძლება იყოს ადგილობრივი მეტყველებისთვის განკუთვნილი დამწერლობა. შეუძლებელია იმის თქმა, თუ როდის მოხდება ნაწერის გაშიფვრა, რადგან არის მაგალითები, როდესაც გაშიფვრას ორი დღე დასჭირდა და არის შემთხვევები, როდესაც ამისთვის წლები გახდა საჭირო".

აღნიშნული წარწერის აღმოჩენიდან ორ წელზე მეტი დრო გავიდა, მაგრამ წარწერა დღემდე გაუშიფრავია და საერთოდ გაიშიფრება კი იგი ჩვენი მეცნიერებისგან, ან რომ გაშიფრონ, გააცხადებენ ჭეშმარიტებას?

„კლასიკური" მეცნიერების ერთმა წარმომადგენელმა, როცა გავაკეთე მოხსენება ჩვენი მხედრული დამწერლობის ხატოვანი დამწერკლობიდან ანბანურად ჩამოყალიბების შესახებ, მეცნიერებით გადაჭედილი აუდიტორიის წინაშე ქედმაღლურად მითხრა: მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების მიერ დადგენილი დოგმების დანგრევის უფლება შენ, სამეცნიერო ხარისხის არმქონე, თვითნასწავლ მკვლევარს არ გაქვსო. ასეთი ცენზურული აზროვნება აუცილებლად უნდა დაინგრეს, რადგან ის პროგრესს ამუხრუჭებს. ამიტომაა,. რომ ორი წლის წინათ აღმოჩენილი 3000 წლის წინანდელი წარწერა კლასიკური მეცნიერების წარმომადგენლებისგან დღემდე გაუშიფრავია. არადა, მაქსიმუმ, ჩვენი ასომთავრული ნიშნების შექმნის საფუძვლების, მხედრული ასონიშნების ხატოვანი ნიშნებიდან თანდათანობით ტრანსფორმაციის გზით ჩამოყალიბებისა და ე.წ. მეგრული ენის ელემენტარული ცოდნაა საკმარისი, რომ პირდაპირ წაიკითხო, რა წერია წარწერაში. ამიტომ, რამდენადაც შეურაცხმყოფელი უნდა იყოს ზოგი კლასიკური მერენიერების წარმომადგენლისთვის ჩემგან თავმდაბლობის ნორმების დარღვევა, უნდა ვთქვა სიმართლე: ამ ერთსტრიქონიანი წარწერის გაშიფვრას მოვანდომე, მაქსიმუმ, 20 წუთი.



სურ 1





სურ 2



სურ 3

რისი თქმა სურს ბატონ ვახტანგ ლიჩელს, როცა ამბობს „ეს შეიძლება იყოს ადგილობრივი მეტყველებისთვის განკუთვნილი დამწერლობაო", გაუგებარია.

დიახ, იმხანად გრაკლიანის ფორაზე და მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა იმ ენაზე მეტყველი და იმ დამწერლობების შემქმნელ-მოსარგებლე ხალხი, რა ენაზეც და რომელ დამწერლობებითაა აღნიშნული წარწერა შესრულებული.

ახლა წარმოვადგინოთ აღნიშნული წარწერის სხვადასხვა პოზიციებიდან გადაღებული სურათები და ფრაგმენტები:

მეტი თვალსჩინოებისთვის ქაღალდზე გადმოვიტანოთ სურათებზე წარმოდგენილი გრაკლიანის წარწერა (სურ 2).

როგორც ვხედავთ, სულ რვა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გრაფიკული გამოსახულებაა წარმოდგენილი: პირველი გრაფიკული გამოცახულება, ცხადია, ასომთავრული ✝ (ქ-)-ა მეორე, მესამე და მეოთხე გრაფიკული გამოსახულებები ლეგატურებს წარმოადგენენ, ანუ აქ ერთი ასონიშნის გრაფიკული ელემენტი გამოყენებულია მეორე ასონიშნის ელემენტად და, პირიქით. რიგით მეორე გრაფიკულ გამოსახულებაში გაერთიანებულია ასომთავრული Ⴈ(ი) და მხედრული ა, მესამეში გაერთიანებულია მხედრული ასონიშნები „ნ" და „ა" და ასომთავრული „Ⴋ"(მ), მეოთხეში კიდევ, ასომთავრული „Ⴈ"(ი) და იბერიული ენისათვის სპეციფიკური, ხოლო ქართლურისთვის უცხო ბგერის აღმნიშვნელი მხედრული „ჯ"-ა გაერთიანებული.

რიგით მეხუღე გრაფიკულ გამოსახულებაში „ო" ბგერის აღმნიშვნელი ოფოფის გაშლილი ქოჩრის იდეოგრამაა წარმოდგენილი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ძვ.წ. XI საუკუნეში მხედრული ასონიშნის „ო" საბოლოო ანბანურ გამოსახულებად ჩამოყალიბება დასრულებული არ ყოფილა, ამასთან, სხვა მხედრული ანბანური ნიშნების ხატოვანი ნიშნებიდან თანდათანობითი ტრანსფორმაციის გზით ჩამოყალიბების ჩემეული ვერსია სრული ჭეშმარიტებაა. მეექვსე და მეშვირე გრაფიკული გამოსახულებები მხედრული ასონიშნები „ე" და „ც"-ა (სურ 3).

მერვე გამოსახულებაში ცეცხლოვანი თასია წარმოდგენილი, რომელიც, როგორც ეტყობა, რაღაც განსაკუთრებული მინიშნებაა. ე.ი.წარწერა იბერიულ ენაზეა შესრულებული და წერია:\

უფრო გარკვევით:

ასომთავრულ-მხედრული ასონიშნებით დაწერილი ეს მარტივი წინადადება მხედრული ასონიშნებიტ ასე დაიწერება:



„ქიანა მიჲორც!" (ქვეყანა მიყვარს!)

ჩვეულებრივი მოვლენაა, საღად მოაზროვნე, ნორმალურ ადამიანს გულწრფელად უყვარს „ქიანა" (დედამიწა ცაში), სიცოცხლის წყარო, სამყაროს გვირგვინის – ადამიანის მკვებავი დედამიწა! ალბათ, ამიტომ მღერიან დღემდე მეგრელები:

„ირი ქიანა გიჲორდაა,
მარა რშგდას სი მიქ რდგნი,
ვაგგოჭყორდას დიდა ნანას
მუ ნინაშა გიბირდგნი".

მთელი ქვეყანა გიყვარდეს
და გახსოვდეს ვინც გაგზარდა,
თან გახსოვდეს დედა ნანას
რა ენაზე გიმღეროდა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წარწერის ორივე სიტყვაში პირველი მარცვლები ასომთავრული ნიშნებითაა დაწერილი, შემდეგ კი – მხედრულით. ეს კი გვაძლევს საფუძველს, ვივაუარდოთ, რომ იმხანად, ხელოვნურად შექმნილი ასომთავრული, რომელმაც უცვლელად მოაღწია ჩვენს ეპოქამდე, ბუნებრივად ჩამოყალიბებულ მხედრულთან ერთად თანაბრად გამოიყენებოდა, ხოლო ბუნებრივად წარმოშობილი ზოგი მხედრული ნიშნის საბოლოო ფორმამდე ჩამოყალიბება ჯერ კიდევ დასრულებული არ ყოფილა.

რაც შეეხება ტერმინს „გრაკლიანი", შეიძლება ნაწარმოები იყოს იქ არსებული გორას სახელწოდებიდან გრაკიანი, „კ" და „ი" ბგერებს შორის ბგერა „ლ"-ს განვითარებით და შეიძლება ისეთი ტიპის ტოპონიმებს მივაკუთვნოთ, როგორიცაა, მაგალითად, კაკლიანი, წიფლიანი, ნაძვიანი და ა. შ., სადაც გრაკი ერთ-ერთი ხის ჯიშის სახელწოდებაა (იხ.ს.ს.ორბელიანი, ქართული ლექსიკონი), ხოლო სოფლის სახელწოდება გრაკალი შეიძლება ნაწარმოები იყოს სინტაგმიდან „გორას კარე" (კარავი გორაზე) და თანამედროვე სახელწოდებად (გრაკალი) ჩამოყალიბებამდე შეიძლება შემდეგი ტრანსფორმაცია ჰქონდეს გავლილი:

გორასკარე–>გორაკარე–>გორაკალე–>გრაკალე–>გრაკალი–> და, საეჭვოა, მას რაიმე კავშირი ჰქონდეს თასთან **გრაალი**, როგორც ეს პროფესორს ჰგონია.

აღნიშნული აღმოჩენით გამართლდა დიდი ივანე ჯავახიშვილის ვარაუდი: „ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზირ შტოს, ან სვანურ შტოს..." (ივ, ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1908, გვ. 20); ნათელი მოეფინა ნიკო მარის შეხედულებას: „მხედრული დამოუკიდებელი დამწერლობაა, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვსო"; ნათელი მოეფინა ჩვენს მტკიცებულებას, რომ მხედრული ნუსხურის განვითარების შედეგი კი არ არის, არამედ კაცობრიობის პირველი ანბანური დამწერლობაა. და ბოლოს, ამის შემდეგ მაინც არ უნდა იყოს სადავო, რომ იბერები იმ ენაზე მეტყველებდნენ, რა ენაზეც შესრულებულია გრაკლიანის წარწერა.

**კუკური ფიფია**
„ფაზისისა" და „აიას"
საერო-სამეცნიერო
აკადემიების წევრი,
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა
და დაცვის ასოციაცია
„კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტი

## ბუბა ხოტივარი:

# მაშინ, მეოცე საუკუნეში...

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

დედინაცვალი – ლია ელიავა. „ქართული კინოს სილამაზეს“, ასაკში ოდნავ შესვლის შემდგომ აღარ იღებდნენ (არ მესმის, რატომ!). ქართლოსი ამბობდა: ლია მხოლოდ „ლამაზი, ნატიფი და უნაზესი“ არ არის – ის დიდი მსახიობიცაა, დაიკარგება, თუ აღარ გადავიღეთო. და აიტეხა: დედინაცვალი უნდა ვათამაშოო. გული კინაღამ შემიწუხდა, როცა წარმოვიდგინე: „ბაში აჩუკის“ პირიმზისა – დედინაცვალი! მაგრამ, გადაღების პირველი დღიდან დავრწმუნდი, რომ ქართლოსს ინტუიციამ არც ახლა უღალატა. ლიამ წინარეხში გადაღებისას ისეთი ცეცხლი დაანთო, მთელი სოფლის მოედანი აღტაცებული იყო. წარმოიდგინეთ სცენა: გაბოროტებული დედინაცვალი ლაზარეს ეჩხუბება, გადაღების დამსწრე წინარეხელები კი გაბრწყინებული თვალებით ტაშს უკრავდნენ ლიას შესრულებას. ლიაზე ბედნიერი იმ წუთს არავინ იყო...



მეც მომიწია ლიასთან მუშაობა: როცა ლაზარეს დადევნებული დედინაცვალი შემთხვევით უსინათლოს მძლავრ მკლავებში მოხვდა, დედინაცვალი-ლია ჯერ აფართხალდა, მაგრამ შემდეგ, იგრძნო რა უსინათლოს რაღაც ზებუნებრივი ენერგია, გაიტრუნა და თითქოს ბოლომდე მიენდოო. ქალით მონუსხული უსინათლო წამით დაიბნა, მაგრამ შემდეგ მძლავრად მოიქნია, როგორც ცდუნება.

როცა ეს ეპიზოდი გადავიღე, უცბად მივხვდი, რატომ იყო საჭირო დედინაცვლის როლზე დიდი მსახიობიცა და მზეთუნახავიც. რატომ?... არ ვიცი. ანალიზს ვერ ვაკეთებ, მაგრამ ვგრძნობ, რომ უბრალო ქალი ამ ეპიზოდს გააშარჟებდა. ბრმის სახეც ბევრს დაკარგავდა და, ამ პატარა ეპიზოდის გამო, სხვა სცენარის დაწერა იქნებოდა საჭირო...

* * *

მღვდელი მამა ენუქი – იაზონ (ზოზო) ბაქრაძე. მსახიობად დაბადებული ძლიერი ფინანსისტი, ქართლოსის ბავშვობის მეგობარი. ქართლოსმა დიდის ხვეწნითა და მუდარით დაითანხმა „სერენადაში“ როლის შესრულებაზე. ზოზო მანამდე კატეგორიულ უარზე იდგა – ის ხომ სახელმწიფო ბანკის მმართველი იყო! ქართლოსი უმტკიცებდა – ბანკის ფული წარმავალია, ხელოვნება კი მარადიულიო. ზოზო იცინოდა და მაინც უარზე იდგა – ბანკის ღალატი არ იქნებაო. (როგორც შემდეგში ყვებოდა, უარზე კი ვედექი, მაგრამ გული მისკდებოდა, ქართლოსი არ დამერწმუნებინა და არ გადაეფიქრა ჩემი აყვანა როლზეო). ბოლოს, თვითონ დარეკა და ქართლოსს უთხრა, მარადისობაში შესაცურებლად მზადა ვარო. როცა ''სერენადამ'' მოიპოვა წარმატება, რაც ყველაზე მეტად სწორედ ზოზოს უხაროდა, აღარ გვასვენებდა ახალი როლი მინდა, ბანკს ველარ ვიტანო. აი ვინ იქნებოდა დღეს საქართველოს ფინანსებში ბაჯაღლო ოქრო – არც გაფლანგავდა, არც მოიპარავდა. ფეხზე დააყენებდა მთელ ქართულ საფინანსო სისტემას და ვერც ვერავითარი მაფიები ვერ გატეხდნენ ვერც ფიზიკურად, ვერც სულიერად. გოლიათი, ნამდვილი გოლიათი! გადამღები ჯგუფის სული და გული. ყველა კოცნიდა და ჩქმეტდა, როგორც პუტკუნა ბავშვს. გალექსილი იუმორის უბადლო ოსტატი. პროზით საუბარი არ იცოდა. სასტუმროს ნომერზე თქვა: იმდენია ტარაკანა, ვერ დაიტევს „მარაკანა“. ფილმის დირექტორს გურამ ბეგიაშვილს უთხრა: როცა მოგაქვს სუტოჩნი, რატომ არ ხარ სუ ტოჩნი? ირაკლი ონოფრიშვილმა რომ თქვა: ისევ სპარსეთში უნდა წავიდე შაჰის გადასაღებადო, ზოზომ იქვე გაახსენა: ირაკლი ირანში ბივალი ი რანშე? ნემო ბორაშვილს სტუდიის მაგნიტოფონი დაეკარგა და ამ საქმის ნერვიული გარჩევისას ზოზომ მოულოდნელად თქვა: ამისათვის ნემო უნდა კარგად ცემო და განმუხტა დაძაბულობა; თბილისელმა და ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ერთმანეთს ცხვირ-პირი რომ დაამტვრიეს, ზოზომ გაკვირვებით უსაყვედურა: უმაღლესო რასაო, რას მიჰქარავ, რასაო?! და ასე, გაუთავებლად, ყოველ წუთს. თვითონ სერიოზული სახით იჯდა, ჩვენ კი გვამხიარულებდა.

განსაკუთრებით დიდი წარმატება ქონდა ხოლმე ზოზოს უცხოელებში. მახსოვს, „სერენადის“ ნახვის შემდეგ იმ წამსვე როგორ დაუმეგობრდნენ და გვერდიდან აღარ იცილებდნენ – სიკეთით ასე სავსე კაცთან ვისვენებთ და სტრესები გვეხსნებაო (აი მაშინ გავიგე პირველად ეს მრისხენე სიტყვა „სტრესი“). ერთი ფრანგი კრიტიკოსი ქალი ნაზი გაოცებით აკვირდებოდა:

– ძლივს ვნახე არსება, რომელმაც დრო მთლიანად დაჯაბნა და მუხლებზე დააყენა! ეს კაცი დღესაც ახალშობილია და ზრდასრულ მოქალაქემდე არ ჩამოქვეითებულა. ის მუდმივად სიბრძნის უსასრულობაში იმყოფება!

მეორე ქალი, ყველას რომ გვიბღვერდა (ანუ მოუსყიდველი კრიტიკოსი ვარ და ჩემს გარშემო ტყუილად ნუ დაიწყებთ წრიალსო), სულ ეფერებოდა და კისკისებდა:

- მსოფლიოს მერვე საოცრება! ახალშობილი – 152 კილო! ეს ლოყებფუნჩულა ანგელოზი თქვენი ეროვნული სიამაყეა!

ზოზო არაფრით გვიტყდებოდა, თუ საიდან იცოდა ამ ქალმა მისი ზუსტი წონა. რცხვენოდა, აწითლებულ ლოყებს ხელებში მალავდა და კიდევ უფრო საყვარელი ხდებოდა – საოცრად ემსგავსებოდა ღვთისმშობლის გარშემო სერიოზულად ჩაფიქრებულ პატარა ანგელოზებს, იტალიელი გენიოსები რომ ხატავდნენ შუა საუკუნეებში... ზოზოს უნდა ეთამაშა უბოროტო, მაგრამ სუსტი ხასიათის კაცი.– სოფლის მღვდელი. მან ეს კარგად შეძლო შესანიშნავი მსახიობის კარლო საკანდელიძის დახმარებით.



მღვდელის გასახმოვანებლად კარლო საკანდელიძე მოვიწვიე. იგი ამ როლის გაკეთებაზე კი დამთანხმდა, მაგრამ ანარქისტის გახმოვანებაც მონდომებია. მე გამწარებული ვეძებდი ანარქისტს და არ ვიცოდი, გვერდზე რომ მყავდა. ბოლოს გამომიტყდა, არ მინდა თავი მოგაბეზრო, მაგრამ გამსინჯე და ნახე, იქნებ მოგეწონოო. ეს არა თავისი (მღვდლის), არამედ ანარქისტის ხმით მითხრა, თანაც ისე გამიღიმა, ანარქისტი რომ იღიმება ეკრანზე – გაკვირვებული სულელივით. კინაღამ გავიგუდე სიცილით. მივხვდი, რომ ანარქისტის ხმა ნაპოვნია. გახმოვანების დროს კარლომ აიწყვიტა და ბევრი სხვა მცირე როლიც გააახმოვანა. ვერავინ ხვდება, რომ ეს ერთი და იგივე მსახიობია. მაგალითად, მთვრალი გლეხი ისაკა, უსინათლოს რომ ურტყამს სოფლის მოედანზე. საერთოდ კარლომ მოახდინა ფილმის გახმოვანების ტექსტის მსახიობთა არტიკულაციაში ჩაჯენა-ჩაწყობა და გამოსახულებისა და დიალოგების ურთიერთკავშირის მოგვარება. დღედაღამ, უნიჭიერეს იამზე ტყავაძესთან ერთად გახმოვანების ბნელ დარბაზში იჯდა და შრომობდა. ორივეს აქვს ულევი მარაგი ქართული სიტყვებისა, რაც ასე გვაკლია ბევრს ჩვენთაგანს.

* * *

დიაკვანი ლავრენტი – კახი კავსაძე. სულ თავიდან, „ლაზარეს“ სინჯების დროს, ქართლოსი კახის სინჯავდა ანრქისტის როლზე და ძალიანაც მოწონდა. მაგრამ შემდგომ შეცვალა ანრქისტის როლის კონცეფცია და როლზე გურამ ნიკოლაიშვილი დაამტკიცა. თუმცა, იგრძნო რა კახი კავსაძეში, ახალგაზრდა მსახიობში, დიდი პოტენცია, გამოგვიცხადა: კახის არგადაღება დანაშაული იქნება, მისთვის ახალი როლი მოვიგონეთ ლევანმა, ვახომ და მეო. ასე დაიბადა დიაკვნის როლი, რომელსაც გზადაგზა ვამდიდრებდით იმპროვიზაციებით... კახი კავსაძე – აი გარდასახვის დიდოსტატი. წამში შეუძლია სხვა კაცად გადაიქცეს. ისე, რომ არც კი დაიძაბება. თითქოს ნოტებზე უკრავსო, რომელსაც უნდა იმ ბგერას ააჟღერებს. მასთან მუშაობა სიხარულია! სიმსუბუქე, იუმორი, გამომგონებლობა, ძალდაუტანებელი ოსტატობა. ძალიან ცუდი რეჟისორი უნდა იყო, კახის ტალანტი რომ ვერ გამოიყენო. ერთი ეპიზოდი გადაღების წინადღით დავწერეთ ჩემთან სახლში. კახიმ საკუთარი და პარტნიორების როლები გაითამაშა, ჩავიწერეთ ტექსტი – გადაღებისას კი სულ სხვა რამ ითამაშა – მისი ფანტაზია უშრეტი იყო. ანარქისტთან ჩხუბების ეპიზოდებიც თავიდან ბოლომდე იმპროვიზაციაზე იყო აგებული, კახი იდეალურად გრძნობდა პარტნიორს, კამერას და, რაც მსახიობს სულ არ მოეთხოვება, ფილმისა და კონკრეტული ეპიზოდის ფილოსოფიას. სცენები მიყავდა თითქოს ბეწვის ხიდზე, მაგრამ ისე, როგორც ფილმის იდეისთვის იყო საჭირო. დიაკვნის ამ გარეგნულად თითქოს მსუბუქ სახეში კახიმ ჩააქსოვა დაფარული თვისებები – ცინიზმი, ურწმუნოება, მღვდლის მიმართ გაუმჟღავნებელი სიძულვილი, კარიერისტული სურვილები. ერთხელ, გადაღებისას, თქვა კიდეც, ფუი, რა საზიზღარ ვიღაცას ვთამაშობ! ყველა მღვდელმსახური ასეთი ხომ არ არის, კაცო! ამით ეკლესიას შეურაცყოფას ხომ არ ვაყენებო? ნერვიულად გაიარ-გამოიარა და თქვა ერთგვარი წუხილით: თუმცა, სადაც დიდი სიწმინდეა იქ უნდა შეძვრეს ეს გათახსირებული სატანა. მაინცადამაინც ეკლესიის შებილწვა უნდა, მაგრამ...– უცბად უყვირა თვის თავს: დედიმაგისამ! არ გამოუვა არაფერი! სიწმინდე არ იბილწება! არ იბილწება არასდროს! ასეა! – მერე, თითქოს ჩვენი ეუხერხულაო, ჩუმად დაამატა, ღმერთს ვთხოვ, შემინდოს ასეთი საზიზღარი დიაკვნის როლის შესრულება, ეს ხომ ბოლოსდაბოლოს კინოაო...



* * *

ჩვენ მივადექით ფილმის ერთ-ერთ მთავარ თემას: პოზიციისა და ოპოზიციის ურთიერთობებს. რატომ გვაინტერესებს ეს? რატომ გადავიღეთ ანარქისტის სცენები საერთოდ? ესპანურ ნოველაში ხომ არავითარი ანარქისტების ხსენებაც არ არის? რად გვინდოდა ეს ანარქისტი, გოგლა ლეონიძის მოთხრობიდან რომ გადმოვიტანეთ და ლაზარეს ისტორიას რომ დავუკავშირეთ? ავხსნი: გარდა იმისა, რომ თითქოს წინასწარ ვგრძნობდით, რომ ოპოზიციონერობა ჩვენში (და არა მარტო ჩვენში) ასეთ გაშარჟებულ ფორმებს მიიღებდა, რაც დაადასტურა ბოლო წლების მოვლენებმა, ჩვენ ხომ მიზნად დავისახეთ, რომ ლაზარეს ბავშვობაშივე უნდა ენახა ცხოვრების ყველა მთავარი მომენტი: კაპას დედინაცვლის ჩაგვრას გადარჩენილს, უშუალო შეხება ქონებოდა ბიბლიური ჭეშმარიტების მატარებელ ძლიერ პიროვნებასთან, ძუნწ მღვდელთან, კეთილშობილ აზნაურთან, უთავმოყვარეო მედუქნესთან – ყველასთან, ვინც კი წარმოადგენს საზოგადოებას. დაკვირვების შემდეგ კი ლაზარეს ის ნაბიჯი უნდა გადაედგა, რომელიც მასში მომწიფდებოდა. ამიტომ ჩვენ გვერდს ვერ ავუვლიდით რელიგიურობის ბურჯთან, ეკლესიასთან დაპირისპირებულ ბოროტ ძალას – აგრესიულ ათეიზმს, ასეთი დაღი რომ დაასვა მთელს კაცობრიობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლაზარეს მიერ საზოგადოების შემეცნება არ იქნებოდა სრულყოფილი, არც მისი ცხოვრებისეული გამოცდილება გამდიდრდებოდა ისე, როგორც მღვდლის, დიაკვანისა და ანარქისტის ურთიერთობის ხილვის შემდეგ...

(გაგრძელება იქნება)





## მცურავი ლარი

გვეგონა, გვეშველა და ლარის კურსი დოლართან მიმართებაში დასტაბილურდა, მაგრამ თურმე სად ბანაობ – გასულ კვირას 1 დოლარის ფასმა 2,50 ლარს აარტყა!

– დამშვიდდით, ნუ გეშინიათ, მცურავი კურსი გვაქვს ჩვენ და ასე იმიტომ ხდებაო, – დაგვაწყნარა ბატონმა დიმიტრიმ, ქუმსიშვილმა.

– კი, ბატონო, მაგრამ ის მაინც აგვიხსენით ხეირიანად, რას ნიშნავს ეს მცურავი კურსი – დოლარი და ლარი მხარდამხარ მიცურავენ და ხან ერთი უსწრებს, ხან მეორე თუ რაშია საქმეო? – ახმაურდნენ მოქალაქეები, რომლებიც მცურავი კურსის გამო სერიოზულად ზარალდებიან ხოლმე.

– დოლარი მხარულით მიცურავს, ლარი კი ბაყაყურით და იმიტომ ვართ ამ დღეშიო, – იხუმრა ვიღაც ენაკვიმატმა სოციალურ ქსელში, თუმცა იქვე დააკომენტარა, – რა მეხუმრება მე უბედურს, ერთ კვირაში 800 ლარი ვიზარალე ამ მცურავი კურსის გამოო.

ეტყობა, ღამითაც გრძელდება ეს საცურაო მარათონი, თორემ სისხამ დილაზე რა ემართება ამ ლარს, საღამოს 2 და 40 რომ იყო, დილით კი 2,43 რომ ხდება უცებ დოლართან მიმართებაში?

ვერა და ვერ ისწავლა სტაბილური ცურვა ამ საბრალო ლარმა და რა ქნას – გაცურავს ცოტას, კუნთი გაენასკვება და გამოცურავს უკან, მერე ისევ გაცურავს, მაგრამ ამჯერად წელკავი დაარტყამს და გამობაყაყურდება უკან, „ზადნი ხოდით“.

– მაგ მცურავი კურსის წყალობითაა, ფულში რომ ცურავენ ვიღაც-ვიღაცები – გაცურვა-გამოცურვაში მილიონები კეთდება და ეს მცურავი კურსიც მაგათთვის არის მოგონილიო, – ამბობს უცნობი მოქალაქე „ფეისბუქში“, თუმცა არ აკონკრეტებს, როგორ და რანაირად კეთდება ეს მილიონები და არც იმას ამხელს, ის ვიღაც-ვიღაცები ვინ არიან, ამ საეჭვო „სპორტით“ რომ გამდიდრებულან და გასუქებულან.

იმ მოქალაქემ რომ არაფერი თქვას, დანარჩენი მოქალაქეები ისედაც მშვენივრად ხვდებიან, სად არის ძაღლის თავი დამარხული მსოფლიოს ფულით გალიცლიცებულ იმ საცურაო აუზში, სადაც ჩვენი ლარიც ჭყუმპალაობს.






## „რა დროშა მოგვცა მიშამ!“

სკოლებში მოსწავლეთა მიერ „ქართული ოცნების“ პარტიული დროშის გამოყენების ორი „აღმაშფოთებელი“, შეიძლება ითქვას, „ზეაღმაშფოთებელი“ ფაქტი დაფიქსირდა, რომელმაც თითქმის ყველა ტელეარხის ეკრანი შემოიარა და საყოველთაო დისკუსიის და განსჯის საგანი გახდა.

– ადგილობრივი თვითმმართველობის წინ ბავშვებს პროპაგანდა-აგიტაციისთვის იყენებენ და „ქართული ოცნების“ დროშებს აფრიალებინებენ. გაუგონარი თავხედობა და დანაშაულია! – კიოდნენ ნაცები და ხელისუფლებისგან დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვდნენ.

– აუცილებლად გამოვიძიებთ ფაქტებს და დამნაშავეებს საკადრისად დავსჯითო, – მრისხანედ შეკრა კოპები ჯეჯელავამ.

ვინ არიან ეს „დამნაშავეები“?

ვინ არიან და სოფლის მასწავლებლები, რომლებიც მთელი ცხოვრება ენთუზიაზმზე ემსახურებიან საკუთარ ქვეყანას (აბა, ხელფასი იმას არ ჰქვია რასაც ისინი გასამრჯელოდ იღებენ).

ცუდ დღეშია „ქართული ოცნება“ – საკმარისია, რომელიმე ბავშმა „ქართული ოცნების“ დროშა თუ ფლაერი, ყოველგვარი „ბოროტი განზრახვის“ გარეშე (აგიტაცია-პროპაგანდას ვგულისხმობ) ისე, ბავშვურად, აафრიალოს და მთელი ქვეყანა შეიძრება.

აი, ნაცებს კი თავი ქუდში აქვთ – წინდახედულმა ნაცებმა თავიანთი პარტიული დროშა თავის დროზე სახელმწიფო დროშად გამოაცხადეს და ახლა აფრიალებენ და აფრიალებენ, როგორც მოესურვებათ, სადაც მოესურვებათ და უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემთ.

სამწუხაროდს, კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რამდენად მისაღებია პარტიული დროშის სახელმწიფო დროშად „გადაკეთება“ და, პირიქით, სახელმწიფო დროშის პარტიული მიზნებისთვის გამოყენება, თუმცა ნაცებთან კანონის ენაზე საუბარს რა აზრი აქვს – ისინი ხომ დიდი ხანია კანონგარეშე არიან…

## უშიში, ვითარცა უხორცო!

უშიშარი ხალხი ვართ ქართველები – აშშ-ს ეშინია ჩინეთის, რუსეთსაც კი ეშინია ჩინეთის, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, არ გვეშინია!

– მე არაფრის არ მეშინია! მე ტანკისტი ვიყავი ომამდე! – გახსოვთ, ალბათ, ეს ფრაზა „ცისფერი მთებიდან“.

როგორც ჩანს, არა მარტო იმ ფილმის პერსონაჟი, არამედ დანარჩენი ქართველებიც, ტანკისტები ვიყავით ომამდე და იმიტომაც არ გვეშინია არაფრის.

ეტყობა, ტანკისტი იყო ომამდე ეკონომიკის მინისტრი გახარიაც და ამიტომაც აწერს ასე უშიშრად ხელს ჩინელებთან სხვადასხვა ხელშეკრულებებს.

სხვათა შორის, თუ კარგად დააკვირდებით ბატონ გახარიას, არის მასში რაღაც ჩინური…

ასეა თუ ისეა, მაგრები ვართ ჩვენ, ქართველები – ამერიკელებს ეშინიათ ჩინელების, რუსებს ეშინიათ ჩინელების, მაგრამ ჩვენ არ გვეშინია, ისე ფართოდ ვუღებთ კარებს, ისეთი სიყვარულით ვეპატიჟებით, რომ ბუნებით თავაზიანი ჩინელები უარს ვერ გვეუბნებიან და მოდიან და მოდიან, მოდიან და მოდიან…

სულ ახლახან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გავაფორმეთ ჩინელებთან, თბილისის ზღვაზე გრანდიოზული სავაჭრო კომპლექსი შენდება ჩინელების მონაწილეობით, საქართველოს ტყეებში ჩინელები ჟღურტულებენ, ბარში ჩინელები არიან, მთაში ჩინელები არიან, გვირაბებს ჩინელები თხრიან, რკინიგზის ლიანდაგებს ჩინელები აგებენ, შენობა-ნაგებობებს ჩინელები აშენებენ, გახარებული გახარია კი გვიმტკიცებს, რომ ამით საქართველოს ეკონომიკა წინ მიდის და ვითარდება.

საქართველოს ეკონომიკის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩინური ეკონომიკა, თურქეთის ეკონომიკასთან ერთად, დიდი ტემპებით ვითარდება საქართველოში.

ჩინელებს და თურქებს მალე არაბები, ინდოელები, პაკისტანელები, ირანელები შემოუერთდებიან და ისინიც წარმატებით განავითარებენ თავიანთ ეკონომიკას საქართველოს ტერიტორიაზე.

„არ აგიშენებს სამშობლოს არვინ, თუ აგიშენებს – სამშობლოს ფასად!“ – თქვა ერთმა პოეტმა, თუმცა რას ბჟუტურებს ვიღაც ჩიტირეკია პოეტი, ამას რა მნიშვნელობა აქვს – მთავარია, რას ფიქრობს გახარია, რომელსაც ამ გლობალისტურ ეპოქაში სიტყვა სამშობლო, ალბათ, დრომოჭმული, ყავლგასული სიტყვა ჰგონია.

გახარიასთვის, ალბათ, ისიც სულ ერთია, სხვადასხვა სახელმწიფოების სავაჭრო და სამრეწველო ფილიალებით გადაჭედილ-გადავსებულ ამ პატარა ქვეყანაში, დარჩება კი ადგილი ამ ქვეყნის დამფუძნებელი ერისთვის, რომელსაც ქართველი ერი ჰქვია?!



# ევროპაში თანამედროვე მონობა ძალას იკრებს

**განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს სიტუაცია რუმენთში, საბერძნეთში, იტალიაში, ბულგარეთსა და კვიპროსზე. ეს ქვეყნები იმ 100 ათასი მიგრანტის გამშვები პუნქტი გახდა, რომლებმაც 2017 წელს ევროპაში ზღვით შემოაღწიეს.**

უფლებათადამცველი ორგანიზაცია **„Walk Free“**–ს მონაცემებით, თანამედროვე მონობა განსხვავებულ ფორმებს იძენს და მსოფლიო მასშტაბით 46 მილიონ ადამიანს მოიცავს. ეს კი გულისხმობს ადამიანებით ვაჭრობას და მასთან დაკავშირებულ ექსპლუატაციის სხვადასხვა გამოვლინებას. მაღალშემოსავლიან დანაშაულებრივ საქმიანობას 1 ადამიანისგან ყოველწლიურად, საშუალოდ, 3400 ევროს ოდენობის სარგებელი მოაქვს. ყველაზე ფართოდ მონებით ვაჭრობა აზიაში არის გავრცელებული, თუმცა ბოლო დროს სხვა ტენდენციაც გამოიკვეთა – დანაშაულებრივმა სქემამ ევროპაშიც აქტიურად დაიწყო განვითარება.

2017 წელს თანამედროვე მონობის რისკმა ძალზე იმატა ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიის მესამედზე, აღნიშნულია ბრიტანული კონსალტინგური კომპანიის **„Verisk Maplecroft“**-ის აგვისტოს კვლევაში.

ველი ადგილი დაიკავა – ადამიანებით ვაჭრობის რისკებთან მქონე ქვეყნების რეიტინგში მან 56 პუნქტით აიწია, ანუ 122–ე ადგილიდან 66–ე ადგილზე გადაინაცვლა. ხოლო იტალიამ, სადაც ზღვით შემოსული მიგრანტების 85% ხვდება, 16 პუნქტით აიწია.

რაც შეეხება საბერძნეთს, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირისა და თურქეთს შორის შეთანხმების გაფორმების შემდეგ მიგრანტების რიცხვმა ქვეყანაში საგრძნობლად იკლო, აქ მაინც ლტოლვილთა დიდი რაოდენობა ჩადის და საბერძნეთი ადამიანებით ვაჭრობის ერთ–ერთ ძირითად ადგილად რჩება. როგორც კვლევის ავტორები წერენ, ევროპაში შემავალ წერტილებში მიგრანტების დაუცველი ჯგუფების არსებობა მონობის გაფართოებას უწყობს ხელს ისეთ დარგებში, როგორც სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მომსახურეობის სფერო და.ა.შ. „მიგრაციულმა კრიზისმა გაამძაფრა მონობის რისკი ევროპის საწარმოების მომარაგების რგოლებში“, — აცხადებს ადამიანის უფლებათა ექსპერტი სემ ჰეინსი **(Sam Haynes)**.




ჩატარებულ ანალიზში შეფასებულია 198 ქვეყანა მათში არსებული კანონების სიმკაცრის, მათი გამოყენების ეფექტურობისა და დანაშაულის სიმძიმის მიხედვით; 20-მდე ევროპულ ქვეყანაში აღინიშნება მონობის პრაქტიკის გაფართოვება, უმეტეს შემთხვევაში კი ეს მიგრანტების დიდ ნაკადს უკავშირდება.

ყოველ ჯერზე მოქმედებს ერთი და იგივე სქემა. როგორც წესი მიგრანტები მშობლიურ ქვეყანას კონტრაბანდისტების დახმარებით ტოვებენ, ხოლო შემდეგ მათი მევალეები ხდებიან (ევროპოლის მონაცემებით, კონტრაბანდისტების 20%–ს მონებით ვაჭრობასთან აქვს კავშირი). ასე რომ ევროპაში მოხვედრისთანავე მიგრანტები გარკვეული ადამიანებისა და საწარმოების ხელში ხვდებიან, რომლებიც მათ ექსპლუატაციას ეწევიან.

## ევროპის 5 ქვეყანაში სამართალდარღვევების ზრდა აღინიშნება

ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს სიტუაცია რუმინეთში, საბერძნეთში, იტალიაში, ბულგარეთსა და კვიპროსზე – ეს იმ 100 ათასი მიგრანტის შემოსვლის წერტილია, რომლებიც 2017 წელს ევროპაში ზღვით შემოვიდნენ. სამართალდარღვევის ყველაზე უარესი ფორმები დაფიქსირდა რუმინეთსა და იტალიაში: სასტიკი იძულებითი შრომა, მონობა და ადამიანებით ვაჭრობა.

არსებული სიტუაციის გამწვავების კუთხით რუმინეთმა მსოფლიოში პირ-

## ადამიანებით ვაჭრობაში ევროკავშირის ეკონომიკის ყველა მსხვილი დარგია ჩათრეული

მონობის გაფართოებისგან დაზღვეული არაა ევროკავშირის არც ერთი ქვეყნის ეკონომიკა. ასე, სულ ერთ წელიწადში გერმანია და დიდი ბრიტანეთი „დაბალი რისკის“ ჯგუფიდან „საშუალო რისკის“ ჯგუფში გადაინაცვლეს. ამის გარდა, ბრიტანეთის შრომითი სისტემის ინსპექტირებისას ხარვეზები გამოიკვეთა, ხოლო გერმანიაში ადამიანებით ვაჭრობისა და მონური შრომის გამოყენების შემთხვევები გახშირდა.

„ეს სენი ყველა ქვეყანას ეხება“, – განმარტავენ თანამედროვე მონობის საწინააღმდეგო კომიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი სარისკო ქვეყნების ოცეულში არ შედის, სამაგალითოს ამას მაინც ვერ ვუწოდებთ. „საფრანგეთში ეს პრობლემა იკვეთება, ძირითადად, შინაურ მონობაში, იატაკქვეშა საამქროებში, იძულებით მათხოვრობასა და პროსტიტუციაში“.

2016 წელს ადამიანის უფლებების ეროვნული საკონსულტაციო კომისიის გამოქვეყნებულ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ 2014 წელს საფრანგეთის მთავრობის მიერ დამტკიცებულ მოქმედებათა ეროვნული გეგმის მიუხედავად, ქვეყანა საკმარის ძალისხმევას არ იჩენს ექსპლუატაციასა და ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლაში.

მოამზადა
**ასმათ ჯალმაიძემ**

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი.**

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

**– ერთ-ერთ ფირმასთან ჩემმა საწარმომ დადო რამდენიმე ხელშეკრულება კონდიციონერების მიწოდებისა და დამონტაჟების შესახებ. ჩვენმა მხარემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულა დროულად და ხარისხიანად. მეორე მხარემ ძირითადი თანხის მხოლოდ ნაწილი გადაიხადა, ვადაგადაცილებული დღეებისათვის კი კი ხელშეკრულებით დადგენილი პროცენტები, საერთოდ, არ გადაუხდია. მათი ვალი საგრძნობლად გაიზარდა. რა პერსპექტივა მექნება სასამართლოში, ძირითადი თანხის დარჩენილი ნაწილი და პროცენტები რომ მოვითხოვო?**

– თუ დოკუმენტაცია წესრიგში გაქვთ, ანუ სათანადო მტკიცებულებები სახეზეა, პროცესს მოიგებთ, მათ შორის პროცენტის გადახდის საკითხშიც, რადგან, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

აქვე გეტყვით, რომ თუ პროცენტებმა შეუსაბამოდ დიდ თანხას მიაღწია ან პროცესზე მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან გამოიკვეთა რაიმე სახის განსაკუთრებული გარემოებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

* * *

**– მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია. გვითხრეს, რომ შეიძლება მოხდეს საჯარო შეტყობინება. რას ნიშნავს საჯარო შეტყობინება?**

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

* * *

**– 1-ლი ინსტანციის სასამართლოში მყავდა წარმომადგენელი, რომელიც არ იყო ადვოკატი. სასამართლომ ის არ დაუშვა პროცესზე. რამდენად სამართლიანად მოიქცა სასამართლო?**

– თქვენ არ გიცნობებიათ ჩვენთვის, თუ რა მოტივაციით არ დაუშვა სასამართლომ პროცესზე თქვენი წარმომადგენელი. ამიტომ კონკრეტულად თქვენს საკითხთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განჩინებაზე იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც არ არის ადვოკატი, შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

* * *

**– შეიძლება თუ არა, სასამართლოს ჩარევის გარეშე შეეზღუდოს მშობელს გარკვეული უფლება?**

– ვინაიდან, კანონი ბავშვის ინტერესების დაცვას ანიჭებს ძალიან დიდი მნიშვნელობას, იგი ითვალისწინებს გარკვეულ ზომებს, ე.წ. „ სანქციებს“ იმ მშობლების წინააღმდეგ, რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ ბავშვის რჩენასა და აღზრდაზე.

თუმცა, გახსოვდეთ: სასამართლოს გარდა, არავის აქვს უფლება, შეზღუდოს მშობლის უფლება! მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს ერთი ან რამდენიმე უფლების შეზღუდვა.

* * *

**– პაპაჩემი დამპირდა სახლის ჩუქებას. შემდეგ გადაიფიქრა და სახლი სხვა შვილიშვილს აჩუქა. ავალდებულებდა თუ არა მას ეს დაპირება სახლის ჩემზე ჩუქებას? სასამართლოში რომ შევიტანო სარჩელი, მოვიგებ თუ არა პროცესს?**

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული.

აქედან გამომდინარე, თუ პაპა ბინის ჩუქებას წერილობით დაგპირდათ, სავარაუდოდ, პროცესს მოიგებთ. მხოლოდ სიტყვიერი დაპირება არ წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას.

* * *

**– მოვალემ გადამიცილა გასესხებული თანხის გადახდის ვადას. შემიძლია თუ არა გადაცილებული დღეებისათვის მოვთხოვო პროცენტებით ან პროცენტიდან პროცენტის გადახდა?**

– დიახ, შეგიძლიათ, თუ ეს საკითხი განხილულ იყო ხელშეკრულების დადებისას და და აღნიშნული მითითებულია ამ ხელშეკრულებაში. დაგიკონკრეტებთ სამართლებრივ ნორმებზე მითითებით:

მუხლი 403. პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას

1. მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

2. ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

**(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)**

თანამედროვე ყალბი სამეცნიერო ხარისხების მფლობელთა გულის გასახეთქად, გიზას კომპლექსი ზუსტად არის დათარიღებული არიული ეპოქალური კოსმოგონიური თარიღით **PON**-ით, №30 ჩრდილოეთ განედზე აღმართული დიდი პირამიდის ორიონის სარტყელისკენ, ზეტა-ორიონისკენ მიმართული მინიატურული შახტით **PON**=45გრადუსი=10465 ჩწა. გიზას კომპლექსი მიძღვნილია ლომის ეპოქის წარღვნისადმი, როცა ზეტა-ორიონის პიკი **PON-I** №30 ჩრდილოეთის განედიდან იყო ზუსტად 45 გრადუსით, ხოლო თვით კომპლექსის **Deadline**-ი არის 10400 b.c.

დოქტორმა რაულ გვენეტაძემ ჯერ კიდევ წინა საუკუნეში აღმოაჩინა, რომ ქართული ანბანი ფენომენალურია, სამეცნიერო ტრაქტატია და შეიცავს ენციკლოპედიური ხასიათის მონაცემებს. ახლა ირკვევა, რომ ამ ანბანში ჩაწერილია მისი შექმნის თარიღი, არიული კოსმოგონიური თარიღით **PON**=42 გრადუსი=13118 ჩწა, რომელიც ორიონის პიკის საშუალებით დგინდებოდა. **PON**-ი გამოითვლებოდა წელიწადში ერთხელ №30 ჩრდილოეთის განედიდან ვარსკვლავის – ზეტა-ორიონის ზენიტში ყოფნის დროს მისი პიკის მაქსიმალური კუთხური სიდიდის მიხედვით. (42-ე გრადუსი კიდევ ერთხელ გამოჩნდა!)

**P. S** უამრავი ადამიანი არიანიზმის წინააღმდეგია და ფაშიზმივით ვერ იტანს... **XX** საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ყველა მეცნიერი თვლიდა, რომ მაშინდელ მსოფლიოში ცნობილი მეგალითური არტეფაქტები არიული წარმოშობის იყო, მაგრამ ფაშიზმმა ისეთი დარტყმა მიაყენა არიულ თეორიას, რომ იგი საერთოდ მოიხსნა სამეცნიერო ტერმინოლოგიიდან, არიული მეგალითები კი, ყველგან ადგილობრივ ცნობილ გვიანდელ კულტურებს მიაწერეს...

ამგვარად, წმინდა სისხლის **2.5-3.0m** სიმაღლის ადრე ევოლუციონირებული არიული რასის შემოქმედება 9 000-15 000 წლით გააახალგაზრდავეს ყალბი **C-14**-ის მოგონებით...

წმინდა სისხლის **2.5-3.0m** სიმაღლის არიული რასა არიული რასის ასიმილირებულმა **1.5-2.0m** სიმაღლის ევროპედულმა რასამ 12 400 წლის წინ გაჟლიტა ბირთვული შეთქმულების შედეგად, რომელსაც ერქვა **Orion Conspiracy.** შეთქმულების ორგანიზატორები და მათი ბოევიკების ძირითადი ნაწილი ლაპარაკობდა სანსკრიტზე **(Старославянский Язык)**, თუმცა მთელი მსოფლიოს აბორიგენებს იყენებდნენ არიელების არიული იარაღითვე გასაჟლეტად. უძლიერეს არიულ ბირთვულ ბომბებთან ერთად ფართოდ იყენებდნენ მცირე სიმძლავრის მხარზე გადასაკიდებელ არიულ ტაქტიკურ ბირთვულ ქობინებს **(heat of hell – Ад Жара)**. ეს ბირთვული იარაღი ინდურ წყაროებში ცნობილია როგორც **оружие Брахмы – „брахмастра“** (ბრაჰმას ვარსკვლავი – მზე). ძველ სლავურ ისტორიულ წყაროებში არიულ ბირთვულ იარაღს ეწოდება **„Фашразрушитель“**.

12 400 წლის წინ დედამიწაზე საშინელი ანარქიისა და ქაოსის დრო იდგა. **(2.5-3.0m)** არიული სიმაღლე სასიკვდილო განაჩენი იყო ნებისმიერი წმინდა სისხლის არიელისთვის. მსოფლიოში, ვინც გადარჩა გაჟლეტვას, ყველამ განიცადა ასიმილაცია ბირთვულ ომს გადარჩენილ ყველა კონტინენტის ნაკლებად განვითარებულ აბორიგენულ გენოფონდში...

გვაქვს ძველი არიული ენის თანამედროვე ფართოდ გავრცელებული ვარიანტები მრავალ ენაში: დემოკრატია, ბიუროკრატია და არისტოკრატია. უფრო გასაგებად, ეს სიტყვები ნიშნავს: – ხალხის მმართველობას, კაბინეტურ მმართველობას და არიულ მმართველობას. მოკლედ, არისტოკრატიის არიულ ფესვებს ლინგვისტური მტკიცებულებაც გააჩნია. სიტყვა „არისტოკრატია“ სამი ძველი არიული სიტყვის გაერთიანებულ, მაგრამ დამახინჯებულ დიალექტურ ვარიანტს წარმოადგენს და ნიშნავს – არიელი ტუზ(ებ)ის მბრძანებლ(ებ)ის მმართველობას.

ივერიული ცივილიზაცია წარღვნამდელი მსოფლიოს აბორიგენულ კულტურებს შორის ყველაზე დაწინაურებული კულტურა იყო. მათი ეს დაწინაურება განპირობებული იყო მიწათმოქმედების კარგი ცოდნით. **„Geo-Orgi-An“ – Землераьотники все – M „Geo“ – M** მიწა; **„Orgi“** – ორგანიზაციის პროცესი; **„An“** – ყველა, ყოველი, თითოეული. **A**აქ: ქართველური ტომების ლათინური ზოგადი სახელი **„Georgian“ – „Geo-Orgi-An“** გაშიფრულია **A** ძველი ლათინური ენით, ანუ ატლანტი არიელების ენაზე. სწორედ მიწათმოქმედების კულტურის მაღალმა დონემ და არიული არისტოკრატიის დიდმა ამბიციებმა განაპირობა მათი გადასახლება ივერიის ნახევარკუნძულიდან **(Iberian Peninsula)** მესოპოტამიამდე, ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიის ჩათვლით. ივერიელთა განსახლებამ გამოიწვია ძველი ივერიული ენის დიალექტიკური გარიანტების გავრცელება სხვადასხვა კულტურებში.



ლურსმული დამწერლობა

**Table1.Site and particle impact data-Paleoindian artifacts, charcoals, cherts**

| Site | Coordinates | Density/ /mm² | depth (um) | Angle approx. | 14C date (yr.B.P.) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. Baker, N.M. | 34.5° N, 106.4° W, | 130±60 | 10 | 90° | — |
| 2. Alton Ind. | 38.7° N, 86.2° W, | 700±300 | 60 | 90° | 1860 |
| 3. Taylor, Ill | 39.1° N, 88.2° W, | c. 400 | 60 | 90° | — |
| 4. Shoop, Penn. | 40.4° N, 76.5° W, | 130±60 | 5 | 5° | — |
| 5. Butler, Mich. | 42.4° N, 84.3° W, | — | — | — | — |
| 6. Leavitt,Mich. | 42.4° N, 84.3° W, | 400±90 | 120 | 90° | 2830±115 |
| 7. Gainey,Mich. | 42.6° N, 83.4° W, | 460±70 | 120 | 90° | 2880±17▲ |
| 8. Thedford, Ont. | 43.1° N, 81.5° W, | — | — | — | 2130±230 |
| 9. Potts N.Y. | 43.2° N, 76.2° W, | — | — | — | 3810 |
| 10. Zander Ont. | 43.4° N, 79.2° W, | 200±140 | 60 | 85° | 3380±420 |
| 11.Grant Lake, Nunavut | 63.4° N, 100.3° W, | — | — | — | 160±65 |

▲ 12,360±1240yr.B.P. date determined by thermoluminescence

როდესაც ადამიანთა დიდი ჯგუფების მიგრაცია ხდება სხვადასხვა, უფრო ნაკლებად განვითარებული აბორიგენული კულტურების ტერიტორიებზე, ისინი აქ კვალს ძირითადად ტოვებენ მათი ასიმილირებული შთამომავლობის გენეტიკასა და გრამატიკაში. ჩვენ უკვე გვაქვს მტკიცებულებები ღრმა გრამატიკული კვლევების საფუძველზე. **Caucasian race** დღესაც ნიშნავს თეთრ ევროპეიდულ რასას, ანუ თანამედროვე თეთრი ევროპედული რასის სამშობლო კავკასიაა. ეს გენეტიკური კანონებით ნიშნავს მათ ასიმილაციასაც სხვადასხვა რასებში სადაც ეს რასა განსახლდა. თანამედროვე თეთრი ევროპეიდული რასის სამშობლო – კავკასია – ასევე, ნიშნავს, რომ ევროპეიდულ რასას თავიანთი ძირითადი გენეტიკური შტოები კავკასიასთან აკავშირებს.

სხვათაშორის, როდესაც საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა ლუკაშენკო, ასეთი ფრაზა თქვა: „ჩვენთვის ცნობილია, რომ დიდმა ქართველმა ერმა და მისმა კულტურამ ხელი შეუწყო სხვა ერების და მათ შორის ჩვენი კულტურის განვითარებას. ჩვენ ასევე კარგად ვიცით საიდან იღებს სათავეს კაცობრიობა და სწორედ ამიტომ, ამ ყველაფერს ჩვენ სათანადო პატივს მივაგებთ...“

ვიფიქროთ, რომ შემთხვევით წარმოთქვა ეს სიტყვები ლუკაშენკომ?

რეჟინალდ ფენსენდნი საკუთარ ნაშრომში „კავკასიური ისთმოსი“ ბევრ საინტერესო თემაზე საუბრიობს. მასაც მიაჩნია, რომ წარღვნის შემდეგ ადამიანების განსახლება მოხდა კავკასიიდან. ფენსენდნის აზრით, მსოფლიო ცივილიზაციის სათავე კავკასია. მისი მოსაზრებები მოკლედ ასე ყალიბდება:

ეგვიპტელთა რელიგია მომდინარეობს კოლხეთიდან და ფინიკიიდან;

ფუნდამენტური ბერძნული რელიგია მომდინარეობს **Hypiberia**-იდან, დამატებით – ეგვიპტიდან. **E** ეს **Hypiberia** მისი აზრით, მდებარეობს კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში;

სირიული რელიგია (თამუზისა და ადონისის თაყვანისცემა) სათავეს კავკასიის ჩრდ. კალთებიდან იღებს. ადონისი – „ადამიანი ეა-ს მიწიდან“;

ებრაელთა რელიგია მიღებულია კავკასიის დაბლობის შუაგულიდან – იბერიიდან, რომელსაც ის „აღმოსავლეთ ედემს“ უწოდებს;

კრეტელთა რელიგიის წყაროდაც იგივე ადგილი მიაჩნია;

ბერძნული მითოლოგიის „იდონი“ იგივე „ედემია“, რომელიც მდებარეობს კავკასიის დასავლეთ და შუა დაბლობზე;

ბერძნული მითების ჰესპერიდების ბაღი იგივე ედემის ბაღია, რომელიც იმავე ადგილზე მდებარეობს ედემის აღმოსავლეთ ნაწილში.

კოლხებმა მოახდინეს ეგვიპტისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების კოლონიზაცია. აქედან იღებს სათავეს ხორბლის მოყვანა, ვინაიდან ხორბალი ველური სახით აქ არის აღმოჩენილი;

იმიტომ ერქვა „ერქვაო“, რომ ის მდებარეობდა იბერიის იქით...

კიდევ ერთხელ და მრავალგზის უნდა გავიმეოროთ, რომ ქართულ-ბასკურ კავშირებზე ბევრის რამის თქმა შეიძლება, ხოლო დანამდვილებით კი ის ვიცით, რომ დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე ჩვ.წ აღ I ათასწლეულში ჩამოყალიბდა ძლიერი და საინტერესო სახელმწიფო იბერია. მან განვითარების უმაღლეს წერტილს ჩვ. წ. აღ V საუკუნეში მიაღწია. მას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა და ეტრუსკებთან, იმდენად, რომ ერთმანეთის მოკავშირეებიც კი იყვნენ კელტებთან და ფინიკიელებთან ბრძოლაში. შემდეგ იწყება იბერიის დეკადანსი... ამის მიზეზი ჩრდილოეთიდან მოწოლილი კელტური წარმოშობის ტომები არიან, რომლებიც ანადგურებდნენ ძველი იბერიის სახელმწიფოს. ნელ-ნელა ეს ტოპონიმიც ქრება, თუმცა ბევრი მოგზაური, ისტორიკოსი და გეოგრაფი დღემდე იბერიას უწოდებს მას.

ის იბერები ესპანელები არ ყოფილან. მისი კულტურის სრული მემკვიდრეები არიან ბასკები და ნაწილობრივ კატალონიელები დღევანდელ ესპანეთში.

პირინეის და კავკასიის იბერიის ნათესაურ კავშირზეც რომ ვთქვათ ორიოდე სიტყვა – გიორგი ათონელის გადმოცემით, იოანე ათონელს განუზრახავს ესპანეთში წასვლა „ქართველთა ნათესავთა“ მოსანახულებლად... ესპანელ იბერთა და კავკასიელ იბერთა ნათესაობაზე წერენ ისეთი ანტიკოსი ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ: სტრაბონი, მეგასთენე, სოკრატე, ევსტათიოსი, დიონისე პერიეგეტე...

ამ მხრივ საინტერესოა მე-18 საუკუნის უდიდესი ენათმეცნიერის ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის კვლევები ბასკურ ენასა და ეთნოსზე. მან დაამტკიცა, რომ ბასკური არ იყო ინდო-ევროპული ენა (როგორც მანამდე თვლიდნენ) და იყო სრულიად სხვა ენა, რომელსაც ანალოგი არ გააჩნდა დასავლეთ ევროპაში. ამ კვლევამ იგი მიიყვანა ბალკანეთთან და დაამტკიცა, რომ ბასკური ენა განიცდის ძალიან დიდ სიახლოვეს ეტრუსკულ და პელაზგურ ენებთან; რომ ძველი ბასკები (ანუ პირინეის იბერები), ეტრუსკები და პელაზგები ერთი მოდგმის, ერთი გენის ხალხია, ხოლო პელაზგების (ბალკანეთის არაინდოევროპული ხალხები. მათი შექმნილი ის მითიური სამყარო, რომელსაც ჩვენ დღეს ძველ ბერძნულს ვუწოდებთ) კვლევამ იგი მოიყვანა კავკასიამდე და გაავლო ასეთი ინტეგრალი – ბასკები-პელაზგები-ქართველები. ესენი არიან „მედიტერანული რასის“ ავტოქტონური მოდგმის ხალხები, საიდანაც თავიანთი კულტურა ყველაზე კარგად ქართველებმა და შემდეგ ბასკებმა შეინარჩუნეს.

დღეს უკვე სადავო აღარ არის, მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ქართველებმა (პროტოქართველებმა) კაცობრიობას მისცეს სულ ცოტა, ხუთი რამ, რამაც მსოფლიო შეცვალა. საკითხავი მხოლოდ ის არის, რამდენად სწორად არის ეს ყველაფერი დათარიღებული, კვლევის რომელი მეთოდით...

1. საქართველო – უძველეს ევროპელთა სამშობლოა!
2. საქართველო – ძაფის უძველესი სამშობლოა! 34 000 წლის (ანუ 340 საუკუნის!) წინათ, სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე – დასავლეთ საქართველოში დაიწნა პირველი ძაფი!
3. საქართველო – ღვინის უძველესი სამშობლოა! საქართველოშია აღმოჩენილი 8 000 წლის წინანდელი ქვევრი ყურძნის წიპწებით!
4. საქართველო – ოქროს წარმოების უძველესი სამშობლოა!
5. საქართველო მეტალურგიის უძველესი სამშობლოა!

არ არის გამორიცხული, რომ სულ მალე ამ „ბრწყინვალე ხუთეულს“ კიდევ ერთი შეემატოს და საქართველო თაფლის უძველეს სამშობლოდაც აღიარონ! არქეოლოგებმა ბორჯომის მახლობლად აღმოაჩინეს 5, 5 ათასი წლის წინანდელი თაფლის ჭურჭელი, ეს კი 2 000 წლით ძველი თაფლია, ვიდრე ტუტანჰამონის (თუთანქამონის) სამარხშია აღმოჩენილი. იმ ტუტანჰამონზეა საუბარი, რომელსაც შვეიცარიელი გენეტიკოსების დასკვნით, კავკასიური გენები აქვს... ისევე, როგორც თანამედროვე ევროპელთა 50-57 %-ს...

**(გაგრძელება იქნება)**



# დაღესტნური შტო ქართულ მუხაზე

რამდენიმე დღის წინათ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თაოსნობით, ბიზნეს-ცენტრ „მოზაიკის“ კონგრეს-ჰოლში გაიმართა საქართველოს დამსახურებული არტისტის, საქართველოს ღირსების ორდენისა და დაღესტნის იმამ შამილის მედლის კავალერის, თბილისის საპატიო მოქალაქის ალი ისაევ-ავარსკის დაბადებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საიუბილეო საღამო.

საღამომ მაღალ დონეზე ჩაიარა, ირგვლივ გულწრფელობა და სიყვარული სუფევდა, ღონისძიების მსვლელობისას არ შემწყდარა აპლოდისმენტები.

გამომსვლელებმა ისაუბრეს ბატონი ალი ისაევ-ავარსკის მიერ განვლილ გზაზე ქართულ (და არა მარტო) კინემატოგრაფიაში — ალი ავარსკი გადაღებულია 35 ფილმში; მის ლიტერატურულ შემოქმედებაზე — ბატონ ალის გამოცემული აქვს პოეტური და პროზაული თხზულებების რამდენიმე კრებული და მემუარების სამტომეული.

საღამოზე გაისმოდა მილოცვები და კეთილი სურვილები.

ბატონი ალის შემოქმედებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ გადაღებული მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი-ტრილოგია „საქართველო-დაღესტანი. მიზიდულობის ფორმულა“, რომლის სცენარის ავტორი და წამყვანი გახლავთ ბატონი ალის მეუღლე, არაჩვეულებრივი ქალბატონი მზია იაშვილი. ფილმი საქართველო-დაღესტნის ურთიერთობებს ეძღვნება. პირველი ფილმის მთავარი გმირია დაღესტნის სახალხო პოეტი რასულ გამზათოვი, რომელიც საქართველოს მიმართ თავის სიყვარულზე საუბრობს. ფილმის მეორე ნაწილში მსოფლიოში ცნობილი დაღესტნელები სიყვარულს უხსნიან ჩვენს ქვეყანას, ხოლო მესამე ნაწილში გამოჩენილი ქართველები აღიარებენ, როგორ უყვართ დაღესტანი. ფილმი ორ კავკასიურ ქვეყანას შორის ურთიერთობების განმტკიცების ნათელი მაგალითია.

ბატონი ალი, კეთილშობილი და მშვიდობისმოყვარე ადამიანია, განუზომელია მისი ღვაწლი, რომელიც მას საქართველოს წინაშე მიუძღვის. სწორედ ალი ავარსკი ჩავიდა მარტოდმარტო დაღესტანში, რომელიც რუსეთის ფედერაციაში შედის და დაარწმუნა თანამემამულენი, რომ მონაწილეობა არ მიეღოთ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. მისი დიდი დამსახურებაა, რომ ამ ძმათამკვლელ ომში არ უბრძოლიათ დაღესტნელ მოხალისეებს. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში ალი ავარსკის გვერდში დაუდგა დაღესტნის მაშინდელი მთავრობაც.

საქართველოსა და დაღესტნის წინაშე გაწეული ღვაწლისა და დაბადებიდან მე-80 წლისთავთან დაკავშირებით ალი ისაევ-ავარსკი არჩეულია საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად.

იუბილე იუბილეა და ამ საზეიმო საღამოზე არაფერი თქმულა იმ უდიდესი პრობლემის შესახებ, რომელიც ალი ავარსკის ოჯახს მძიმე ტვირთად აწევს — ფილმის „საქართველო-დაღესტანი. მიზიდულობის ძალა“ გადაღებისთვის საჭირო თანხების მოსაპოვებლად ალი ავარსკიმ ბანკში ჩადო თავისი სამოთახიანი ბინა, რომელიც დღესაც გამოსახსნელია (თანხის დიდი ნაწილი გასტუმრებულია) და თუ იგი დარჩენილი თანხის გადახდას ვერ შეძლებს, ბინას დაკარგავს.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის სხვადასხვა შტოებისთვის ცნობილია ალი ავარსკის პრობლემის შესახებ, მისი დახმარების სურვილი აქამდე არავის გამოუხატავს.

იმედია, ამ გადაუჭრელი პრობლემის სახალხოდ გაჟღერების შემდეგ მაინც მოგვარდება ეს საქმე.

ბატონ ალის კი, რომელიც საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა კვლავ განაგრძოს შემოქმედებითი მოღვაწეობა და კიდევ მრავალი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოები და ფილმი (რომლებიც, როგორც ყოველთვის გაჯერებული იქნება სიკეთითა და სიყვარულით) აჩუქოს მკითხველსა და მაყურებელს...

ასეთი უნიკალური ადამიანები იშვიათობაა და ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ მათ!

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

# მწვერვალი „ლადო ასათიანი“



2017 წლის 14 იანვარს შესრულდა 100 წელი „მარად ჭაბუკად დარჩენილი“ (ნიკა აგიაშვილი) და „საქართველოში გაჩენის ღირსი“ (მუხრან მაჭავარიანი) პოეტის – ლადო ასათიანის დაბადებიდან.

ვისთვისაც სისხლ-ხორცეულია უკვდავი ქართული პოეზია, მასთან ლადო ასათიანზე და მის პოეზიაზე საუბარი საჭირო არ არის!

ხოლო ვისაც ეჭვი ეპარება (სამწუხაროდ, ასეთიც გვეგულება!), მასთან საწინააღმდეგოს მტკიცება – წყლის ნაყვაა!

ამიტომ, უმჯობესია ლადო ასათიანის სახელობის მწვერვალზე ვთქვათ მოკლედ.

3848 მ. სიმაღლის ეს მწვერვალი, რომელიც მდებარეობს ხევსურეთის, ყაზბეგისა და გუდამაყრის ხეობების სათავეში აღმართულ ჭიუხის მასივებში, 1977 წლამდე „ჩრდილოეთის ჭიუხის“ სახელით იყო ცნობილი.

მასზე პირველად 1932 წელს ავიდნენ ინგლისელი იულია კამერონი და მისი მეგზური, ცნობილი მოხევე გამყოლი – ნიკო ქირიკაშვილი.

1935 წელს „ჩრდილოეთის ჭიუხზე“ ავიდნენ ვლადივოსტოკელი მთამსვლელები ზოლოტარიოვი და ანტონოვიჩი.

1939 წელს იმავე მწვერვალზე ავიდნენ ალპინისტური ბანაკის „დევდორაკის“ ინსტრუქტორები – ვანო ხაიკაშვილი, ვანო გალუსტოვი და გალინა კოზლოვა.

1943 წელს ჭიუხის მასივის ექვს მწვერვალზე ადის (მასივში სულ 16 მწვერვალია) საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიცია ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

1977 წელს საქართველოს ნაკრებმა სსრკ ჩემპიონატზე ტრავერსების კლასში წარადგინა ჭიუხის მასივის ძირითადი მწვერვალების ტრავერსი.

ნაკრები გუნდის შემადგენლობაში იყვნენ:

შოთა მირიანაშვილი (კაპიტანი), გიორგი აბაშიძე, დიმიტრი დანგაძე, სერგო ბარლიანი, შაქრო გაბისიანი და ოთარ რაზმაძე.

ამ ტრავერსმა საქართველოს ნაკრებს სსრკ ჩემპიონატში მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები მოუტანა, თუმცა... იმ წლის ყველა მონაცემით ისინი I ადგილს იმსახურებდნენ. მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, რომ ეს „საბჭოთა კავშირის“ დროს ხდებოდა, სადაც 30 მსაჯიდან 26 – რუსი იყო.

სწორედ ამ ჯგუფმა დაარქვა მანამდე „ჩრდილოეთის ჭიუხად“ წოდებულ მწვერვალს ლადო ასათიანის სახელი (პოეტის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით).

ყველა ჩამოთვლილი ასვლა განხორციელდა ყაზბეგის რაიონის ს. ჯუთის მხრიდან.

1994 წელს ჭიუხის მასივში მოეწყო პირველი ალპინიადა ხევსურეთის სოფელ როშკის მხრიდან. ალპინიადის 40 მონაწილე ბ-ნი შოთა მირიანაშვილის ხელმძღვანელობით ჭიუხის აღმოსავლეთ მწვერვალზე („ვაჟა-ფშაველა“) ავიდა და მას შემდეგ აღნიშნულ მწვერვალზე ბ-ნი შოთას ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ტარდება ალპინიადები, რომლებშიც საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციისა და ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ ალპური კლუბის წევრებთან ერთად სისტემატურად მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები.

2015 წლის სექტემბერში დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის თანამშრომლებმა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციისა და გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპური კლუბის წევრებთან ერთად ბ-ნი შოთა მირიანაშვილის ხელმძღვანელობით, ლადო ასათიანის მოახლოებულ იუბილესთან დაკავშირებით, აღნიშნულ მწვერვალზე მოვსინჯეთ მე-2 და მე-4 კატეგორიის სირთულის მარშრუტები. მაშინ გადავწყვიტეთ, რომ 2017 წელს დიდი ქართველი პოეტის 100 წლის იუბილე მისი სახელობის მწვერვალზე ასვლით აღგვენიშნა.

მიმდინარე წლის 25 აგვისტოს, საღამოს, გურამ რჩეულიშვილის სახელობის მწვერვალიდან დაბრუნების შემდეგ, ბანაკი იქვე, მწვერვალ „ლადო ასათიანის“ ძირას, ზ/დ 3000 მეტრზე გავშალეთ.

ჩაფიქრებული გვქონდა ათკაციანი ჯგუფის ორ ნაწილად გაყოფა და მწვერვალზე მე-2 და მე – 4 კატეგორიის მარშრუტებით ასვლა, რომელიც ღამე ამინდის გაუარესების გამო ველარ მოხერხდა.

26 აგვისტოს, დილის 6 საათზე, 10 კაციანი ჯგუფი – მალხაზ ხუციშვილის, შალვა თეთრაშვილის, მარიამ ბარძიმაშვილის, ოთარ თათარაშვილის, ბექა მაღრაძის, თორნიკე ტაბატაძის, გიორგი მაჭავარიანის, მამუკა გელიტაშვილის, გიორგი იშხნელის და ბაბუა ალუდაურის შემადგენლობით შუადღისას, $13^{00}$ საათზე, მწვერვალზე ერთმანეთს ვულოცავდით ლადო ასათიანის დაბადების 100 წლის იუბილეს.

მწვერვალიდან მოვხსენით ბიძინა გუჯაბიძის ჯგუფის მიერ მიმდინარე წლის 22 ივლისს დატოვებული წერილი.

იმავე საღამოს ბანაკში გაიმართა ლადო ასათიანის პოეზიის საღამო, რომელმაც ყოველგვარი დაღლილობა მოგვიხსნა.

**ბაბუა ალუდაური**
გაზეთი „საარაგვო“ N6

# საინტერესო და სასარგებლო ფაქტები საუზმის შესახებ



სხვადასხვა ხალხებს განსხვავებული გემოვნება აქვთ და უპირატესობას სხვადასხვა სახის საუზმეს ანიჭებენ. ასე, მაგალითად, ინგლისელებ საუზმეზე შვრიის ფაფას, თოხლოდ მოხარშულ კვერცხსა და ახალდაყენებულ მუქ ჩაის მიირთმევენ. ამერიკელები ყველაზე ხშირად სვამენ ფორთოხლის წვენს, ჭამენ სიმინდის ფანტელებს ან მიუსლის, ტოსტებს, ბუტერბროდებს არაქისის კარაქთან ერთად. აი, ტრადიციული ფრანგული საუზმე კი კრუასანები და რძიანი ყავაა.

ითვლება, რომ ყველაზე სასარგებლო ინგლისური საუზმეა, ყველაზე სწრაფად მზადდება ამერიკული, ხოლო ყველაზე გემრიელი ფრანგული საუზმეა.

ბევრი მეცნიერი თვლის, რომ მოზრდილმა ადამიანებმა კვება პირდაპირ სადილიდან უნდა დაიწყონ. ხოლო მითი დილით მსუყე საუზმის აუცილებლობის ამერიკელმა სიმინდის ფანტელების დამამზადებლებმა გაავრცელეს.

არსებობს ანდაზა: „საუზმე შენ შეჭამე, ვახშამი კი მტერს მიეციო“, რაც ჭეშმარიტებისგან შორსაა. ღამით დასვენების შემდეგ ჩვენს ორგანიზმს სულაც არ ესაჭიროება დიდი რაოდენობით საკვები. საჭმლის მონელება რთული პროცესია, რომელიც 3–4 საათი გრძელდება. გამოდის, რომ მსუყე საუზმის შემდეგ სამსახურში წასულები არ ვაძლევთ ორგანიზმს საკვების ნორმალურად გადამუშავების საშუალებას.

როგორც კვების ინსტიტუტის სპეციალისტები თვლიან, იდეალური საუზმე უნდა შეიცავდეს ბურღულეულს – ენერგიის მოსაზიდად, ხილს – ენერგიის სწრაფად გამოყოფისა და ვიტამინებისთვის და რძის პროდუქტებს – ცილებისა და მინერალური ნივთიერებებისთვის.

ამერიკელი მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის ბავშვები და მოზარდები, რომლებიც საუზმობენ, უფრო მაღალ გონებრივ შესაძლებლობებს ავლენენ და ნაკლებად აცდენენ



სასწავლო პროცესს, ვიდრე ისინი, ვინც საუზმეზე უარს ამბობს.

არსებობს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ საუზმე აძლიერებს მეხსიერებას და ამაღლებს ბავშვების აკადემიური მოსწრების დონეს. უბრალოდ, როცა მოსწავლეს შიმშილის გრძნობა არ აწუხებს, იგი მთლიანად სასწავლო პროცეში ერთვება.

ყველაზე ძვირადღირებული საუზმე შვეიცარიაში 2003 წელს გაიყიდა. ეს მსოფლიოს ყველაზე მაღალმთიან მოძრავ რესტორანში მოხდა. წარმოიდგინეთ, ყინულოვანი მთის ცენტრში, რომელიც გარშემორტყმული იყო ფანტასტიკური მთების მწვერვალებით, მილიონერების კომპანიამ 600 000 ევრო დახარჯა საუზმეზე. მათ ყველა ცნობილი დელიკატესი მიირთვეს.

სტატისტიკის მიხედვით, ის ავტომოყვარულები, ვინც სახლში არ საუზმობენ, უფრო ხშირად ხდებიან დილის ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილეები.

დიეტოლოგები გვირჩევენ – დილა ჭიქა წყლით, ჩაით ან წვენით დავიწყოთ. სითხე ორგანიზმს გამოღვიძებაში და საჭმლის მონელების პროცესის დაწყებაში ეხმარება. უარი არ უნდა ვთქვათ, ასევე, რძის პროდუქტებზეც.

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ „ტოროლებმა“ დილით ყავაზე უარი უნდა თქვან და მის ნაცვლაც მწვანე ჩაი მიირთვან, არ უნდა დაგავიწყდეთ კარგად დანაყრება. „ბუებმა“ კი აუცილებლად უნდა დალიონ ფინჯანი ყავა. ეს მათ გამოფხიზლებაში დაეხმარება. დილით „ბუების“ მადას ჯერ კიდევ „სძინავს“, ამიტომ მათ მსუბუქად უნდა ისაუზმონ. სამაგიეროდ, გაღვიძებიდან ერთი-ორი საათის შემდეგ საუზმე აუცილებელია.

რომის პაპი ყველაზე ხშირად საუზმეზე პიცას მიირთმევს. მან აკურთხა კიდეც პიცის დამამზადებლები, რადგან სხვა არანაირ საკვებს არ ცნობს პიცის გარდა და მიირთმევს მას საუზმეზე, სადილად და ვახშმადაც კი.

დილით ფორთოხლის წვენი ყველა ევროპული ქვეყნის მოქალაქეებისა და ამერიკელების საუზმის აუცილებელი ნაწილია. წვენი მთელი დღის სამყოფი C ვიტამინით ამარაგებს ორგანიზმს.

მიირთვით საუზმეზე მიუსლი რძესთან ერთად და სადილამდე ჭამა აღარ მოგინდებათ, ამასთან, ეს საკვები აუცილებელი ენერგიით აგავსებთ.

ბრაზილიელმა მეცნიერებმა საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეს: ის ადამიანები, რომლებიც დღეში ერთ ვაშლს მაინც მიირთმევენ, წონაში იკლებენ. ეს იმით აიხსნება, რომ ვაშლში ბევრი წყალი და უჯრედისია, ამიტომ მათ ჭამა აღარ უნდებათ.

ყველაზე ხალხმრავალი საუზმე დუბაიში 1998 წელს შედგა. მასში 13 797 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა!

სტატისტიკის მიხედვით, გერმანიის მოსახლეობის 25 პროცენტი უარს ამბობს საუზმეზე.

ზოგიერთი არ საუზმობს იმის გამო, რომ გახდეს, თუმცა, სინამდვილეში, უფრო იმატებენ წონაში. გახსოვდეთ: საუზმეზე უარის თქმას ჭარბწონიანობამდე მივყავართ!

როგორც ბევრი დიეტოლოგი თვლის, ჩვენი განწყობა, მეხსიერება და აზროვნება იმაზეა დამოკიდებული, რას მივირთმევთ. კვების ინსტიტუტის მეცნიერებმა ბევრი საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეს, რომლებიც თითოეული ჩვენგანისთვის სასარგებლო შეიძლება იყოს. მაგალითად, თუ დილით ტკბილეულს მიირთმევთ, გამოფხიზლება გაგიჭირდებათ და ორგანიზმის აქტივობა იკლებს.

ძეხვში, შაშხსა და კვერცხში დიდი რაოდენობით ქოლესტერინი და ცხიმები შედის. ეს ნივთიერებები ნელა გადამუშავდება და ტვინიდან სისხლის ძლიერ



გამოტყორცნას იწვევს, რასაც სააზროვნო პროცესების შენელებამდე მივყავართ.

მომღერალი მადონა დილაობით სამი საათი იოგათია დაკავებული, მერე კი ბოსტნეულის სუპს მიირთმევს და ერთ ჭიქა ნატურალურ წვენს აყოლებს.

როგორც აღმოჩნდა, არ შეიძლება უზმოზე გამამხნევებელი ვარჯიში! თუ დილის გარბენამდე არაფერს შეჭამთ, ორგანიზმში შაქრის დონე დაეცემა და ვარჯიშის გაგრძელებას ვეღარ შეძლებთ.

აღმოჩნდა, რომ, რაც უფრო ნოყიერ საუზმეს მიირთმევს ადამიანი, დღის განმავლობაში ნაკლებ საკვებს ჭამს. უმჯობესია დილით ცილოვანი საკვები მიირთვათ, თუ ასე მოიქცევით, მაშინ დიდი ხნის განმავლობაში შიმშილს ვერ იგრძნობთ.

ერთი პორტუგალიური ქალაქის მაცხოვრებლებმა რეკორდი დაამყარეს – მოამზადეს და შეჭამეს მსოფლიოში ყველაზე დიდი საუზმე. 10 საათის განმავლობაში 25 ათასმა ადამიანმა 10 ტონა რძე და 35 ათასი შეკვრა სიმინდის ფანტელი მიირთვა.

სპეციალისტების რჩევა: საუზმობისას დაიცავით ზომიერება. ჯობს დილით მიირთვათ ფაფები, შეარჩიეთ ისეთი ბურღული, რომელშიც ნაკლები ცხიმი და მეტი უჯრედისია, ვაშლი, ხილი, წვენები, ჭვავის პური, მიუსლი ან ფანტელები, იოგურტი და ყველაფერი ის, რაც ადვილად გადამუშავდება. არ შეიძლება დილით თევზისა და ხორცის მირთმევა, ჯობს „მძიმე“ საკვები საღამოსთვის შემოინახოთ.

იკვებეთ სწორად, იყავით ჯანმრთელები, ლამაზები და ბედნიერები!

ბელა გველესიანი
568 90 81 22

## ვულოცავთ!

„საერთო გაზეთის“ ფურცლებზე ანზორ ბაბუხადიას წერილის „საქართველოს საქართველო უნდა ერქვას და არა ჯორჯია“ (13.09.2017 წ.) გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია, რომ „ლიტვამ მიიღო გადაწყვეტილება, ამიერიდან საქართველო მოიხსენიოს არა გრუზიად, არამედ საქართველოდ“.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში ანალოგიური გადაწყვეტილების მიღებას აპირებენ ლატვია, ესტონეთი და პოლონეთი.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას გულითადად ულოცავს სრულიად საქართველოს და ამ იდეის ავტორს, ჩვენს კოლეგას ანზორ ბაბუხადიას. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ აკადემიკოს როინ მეტრეველის გამონათქვამს: „არ მეგულება ჭკუათმყოფელი კაცი, ვინც მხარს არ დაუჭერს ამ იდეას“.

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ირაკლი ტრიპოლსკის, დედის

ნაზი მაისურაძის

გარდაცვალების გამო.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com